იოსებ არჩვაძე
ნათია არჩვაძე

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და საპენსიო სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

UDC (უაკ) 314.4 ‡ 331.25 ‡ 364.14
ა – 852

იოსებ არჩვაძე, ნათია არჩვაძე
მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და
საპენსიო სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემები
თბილისი, „მერიდიანი“, 2012, 126 გვ.

ნაშრომში განხილულია მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი, მისი გავლენა ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. კრიტიკულადაა განხილული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ასაკოვანი მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დაზღვევის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის პენსიების ფორმირების სისტემები, ის პრობლემები, რომლებსაც ასეთ სისტემებს მოსახლეობის დაბერება, პენსიონერთა წილის ზრდა უქმნის.

ავტორები განსაკუთრებით ყურადღებით განიხილავენ თანამედროვე საქართველოში საპენსიო უზრუნველყოფის მდგომარეობას და აყალიბებენ კონკრეტულ წინადადებებს აღნიშნული მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესებისათვის.

ნაშრომი განკუთვნილია დემოგრაფების, ეკონომისტების, სოციოლოგების დემოგრაფიული პრობლემებით დაინტერესებული პირებისათვის, აგრეთვე ხანდაზმული ადამიანების საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრით დაკავებული მოხელეებისათვის.

რედაქტორი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მირიან ტუხაშვილი**

© ი. არჩვაძე, ნ. არჩვაძე
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012

ISBN 978-9941-0-4177-8

შინაარსი

შესავალი.....4

თავი 1. მოსახლეობის დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პირობები თანამედროვე მსოფლიოში

§ 1. მოსახლეობის დაბერების განმაპირობებელი ფაქტორები და გამოვლენის მასშტაბები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.....7

§ 2. მოსახლეობის დაბერების თავისებურებანი საქართველოში19

თავი 2. საპენსიო სისტემა, როგორც მოხუცი მოსახლეობის შემოსავლებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ძირითადი წყარო

§ 1 თანამედროვე საპენსიო უზრუნველყოფის სისტემები და სახეები მსოფლიოში.....26

§ 2. კერძო საპენსიო სისტემის უპირატესობები და საფრთხეები (ჩილესა და აშშ-ის მაგალითზე.....48

თავი 3. ხანდაზმული მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა და შრომითი აქტიურობა საქართველოში

§ 1. მოხუცი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მდგომარეობა საქართველოში.....59

§ 2. მოხუცი მოსახლეობის შრომითი საქმიანობა და შემოსავლის წყაროები.....70

დასკვნები და რეკომენდაციები.....78

გამოყენებული ლიტერატურა.....89

დანართები.....92

შესავალი

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, ზოგადად, უკავშირდება *ტრადიციული საზოგადოებიდან* (რომლისთვისაც დამახასიათებელია შობადობისა და მოკვდაობის მაღალი დონეები) გადასვლას *თანამედროვე საზოგადოებაზე* (შობადობისა და მოკვდაობის დაბალი დონეებით) და გამოიხატება დაბერებულთა წილის ზრდით მთელს მოსახლეობაში. იგი გლობალური მოვლენაა, რომელიც მსოფლიოს ყველა კონტინენტსა და ქვეყანას შეეხო. პროცესი უპრეცედენტო მასშტაბისაა და ანალოგი არ მოეძებნება კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ამ პროცესში ჩართულია სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ასპექტები. მნიშვნელობიდან და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენის მასშტაბის გათვალისწინებით, მისი დარეგულირება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, იგი საჭიროებს არა მარტო დემოგრაფების, არამედ ეკონომისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების, მედიცინის სფეროს წარმომადგენლების სერიოზულ, კომპლექსურ კვლევას, ხშირად ერთობლივ ძალისხმევას როგორც აღნიშნული პროცესის ობიექტური შეფასების განსახორციელებლად, ისე მისთვის პოზიტიური ვექტორის მინიჭებისათვის.

რა რესურსები, სახსრები გამოიყოფა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხუც მოსახლეობაზე მათი საპენსიო უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მზრუნველობის უზრუნველსაყოფად, ამაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოხუცი მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სასიცოცხლო ტონუსი და ხარისხი, ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ ეკონომიკურ საქმიანობაში.

როდესაც ვსაუბრობთ მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებაზე, აქ მხედველობაში მიიღება ნაცხოვრებ წელთა რაოდენობისა და *მოსახლეობის საშუალო ასაკის* ზრდა (ქრონოლოგიური დაბერება). წინამდებარე კვლევაშიც აქცენტიც ძირითადად სწორედ აღნიშნული სახის დაბერებასა და მასზე დაფუძნებულ სახელმწიფოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზეა გაკეთებული.

ცივილიზებული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ადამიანთა ფსიქოლოგიური და სოციალური დაბერებების გადავადებისაკენ, მათი სოციალური აქტიურობის უზრუნველყოფისაკენ. ხანდაზმულ ადამიანთა რაოდენობის, მათი ცოდნის, გამოცდილების, ადამიანისეული კაპიტალის გათვალისწინებით, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, **1 ოქტომბერი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეა**. ამ თარიღს მსოფლიო უკვე 10 წელზე მეტია აღნიშნავს. 1999 წელი კი გაეროს მიერ ხანდაზმული მოსახლეობის წლად იყო გამოცხადებული.

2002 წელს, ქალაქ მადრიდში გაეროს მეორე მსოფლიო ასამბლეამ დაბერების საკითხებზე მსოფლიო მოსახლეობის დაბერების პრობლემებთან დაკავშირებით მიიღო პოლიტიკური დეკლარაცია და საერთაშორისო სამოქმედო გეგმა, რომელიც პირდაპირ მოითხოვს მსოფლიო სტანდარტებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის უზრუნველსაყოფი რეფორმების გატარებას სოციალური დაცვის, ჯანდაცვის სისტემებისა და შრომის ბაზრის სფეროებში. ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ორგანულად მოიცვას შესაბამისი მზრუნველობის ფორმებით და ადექვატურად უპასუხოს დაბერებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, უზრუნველყოს საზოგადოებისა და ეკონომიკის ჰარმონია დემოგრაფიულ ძვრებთან და თითოეული მოქალაქის სიცოცხლის მაქსიმალურად მიღწევადი ხარისხი სიბერეში.

სიცოცხლის მაღალი ხარისხის მიღწევას დაბერებულ მოსახლეობაში უზრუნველყოფს ორი ძირითადი ფაქტორი: საზოგადოების ზრუნვა მათზე და იმ განცდის შენარჩუნება, რომ ისინი ჯერ კიდევ საჭირონი არიან ახლობლებისათვის. პირველს მნიშვნელოვნად განაპირობებს მათი სოციალური დაზღვევა, საპენსიო უზრუნველყოფა[1], ამ პენსიის სიდიდე და მსყიდველობითი უნარიანობა. მეორეს - მათი ჩართულობა საზოგადოებრივად სასარგებლო

1 პენსია (ლათ. *pensio*, გადასახდელი) - რეგულარული (როგორც წესი, ყოველთვიური) ფულადი დახმარება, რომელსაც უხდიან პირებს, რომელთაც: მიაღწიეს საპენსიო ასაკს (აღარ არიან შრომისუნარიან ასაკში); არიან ინვალიდები; დაკარგეს მარჩენალი.

შრომაში, შიდა ოჯახურ მეურნეობასა თუ საოჯახო საქმიანობაში.

ნაშრომში ყურადღება კონცენტრირებულია მოხუცებული ადამიანების სოციალური დაზღვევის, დაცულობის ძირითად, თუმცა არა ერთადერთი საშუალებაზე – პენსიებზე, როგორც აღნიშნული კონტიგენტისადმი სახელმწიფოს სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედზე.

აღნიშნული პრობლემატიკა, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგადია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, ამიტომ ფაქტობრივი ანალიზი და დასკვნები ნაშრომში განხორციელებულია როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების მაგალითზე.

ნაშრომის მომზადებაში, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად, გამოყენებულია აღნიშნულ თემატიკაზე საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროსტატი და სხვ.), აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემები.

თავი 1. მოსახლეობის დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პირობები თანამედროვე მსოფლიოში

§ 1. მოსახლეობის დაბერების განმაპირობებელი ფაქტორები და გამოვლენის მასშტაბები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში


ცივილიზაციის განვითარების ერთერთი თვალსაჩინო მიღწევა ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატებაა. თუ კაცობრიობის გარიჟრაჟზე იგი 20–25 წლით შემოფარგლებოდა, თანამედროვე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უკვე 80–85 წელს აღწევს. ამასთან, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის პარალელურად მიმდინარეობს დემოგრაფიული დაბერებაც – მოსახლეობაში მაღალი ასაკობრივი ჯგუფების წილის აბსოლუტური და შეფარდებითი მატება და ამის გამო საშუალო ასაკის თვალსაჩინო ზრდა. მარტო ბოლო ოცი წლის მანძილზე მთელი მსოფლიოს მოსახლეობის მედიანური ასაკი გაიზარდა 4.7 წლით 24.4 წლიდან 29.1 წლამდე, მათ შორის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში 34.4 წლიდან 39.8 წლამდე[1].

აღსანიშნავია, რომ **მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მედიანური ასაკი ორჯერ და მეტად აღემატება დაბალგანვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს,** რაც მიუთითებს დემოგრაფიული დაბერების ზოგად სოციოლოგიურ შინაარსზე.

თანამედროვე მსოფლიოში *დემოგრაფიულ დაბერებად* ითვლება მდგომარეობა, როდესაც 65 წელზე გადაცილებული მოსახლეობის წილი მთელი მოსახლეობის 7 პროცენტს აღემატება.

---

1 იხ.: Human Development Report, 2010, ჯ. 187. დემოგრაფიული კლასიფიკაციით, ასაკოვანი ადამიანების კლასიფიკაცია შემდეგნაირია: **ხანდაზმულები:** ქალები - 56-74 წელი, კაცები - 61-74 წელი, **მოხუცები** 75-90 წელი, **დიდგრძელნი** 90 და ზევით.



გაეროს დემოგრაფიული დაბერების შკალა

ეტაპი	65 და მეტი წლის მოსახლეობის წილი, %	მოსახლეობის დაბერების ეტაპები და დონეები
1	<4	ახალგაზრდა მოსახლეობა
2	4-7	მოსახლეობა დაბერების ზღვარზე
3	>7	მოხუცი მოსახლეობა

თანამედროვე დემოგრაფიული მეცნიერება იცნობს დემოგრაფიული დაბერების სხვა, უფრო დეტალურ კლასიფიკაციას (იხ. დანართი 1).

თუ აღნიშნული კრიტერიუმით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ მთელი კაცობრიობა უკვე „დაბერებულია", მათ შორის ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ოკეანეთის მოსახლეობა. ამჟამად მხოლოდ აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაშია ამ კრიტიკულ ზღვარზე დაბალი მაჩვენებელი, რაზეც ქვემორე ცხრილი იძლევა წარმოდგენას.


ცხრილი 1

65 წლისა და მეტი ხნის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში მსოფლიოს ძირითადი რეგიონების მიხედვით 1950-20008 წლებში (პროცენტი)[1]

	1950	1970	1995	2008
მსოფლიო	5.1	5.4	6.0	7.4
მათ შორის:				
აფრიკა	3.2	3.1	3.0	3.4
ლათინური ამერიკა	3.3	3.9	5.0	6.6
ჩრდილოეთ ამერიკა	8.1	9.6	13.0	12.7
აზია	4.0	4.0	5.0	6.5
ევროპა	8.7	11.4	14.0	16.1
ოკეანეთი	7.5	7.3	10.0	10.5
ყ.სსრკ/აღმოსავლეთ ევროპა	6.1	7.4	12.2	14.0

თუ 1950 წელს 60 და მეტი წლის მოსახლეობაზე მოდიოდა მსოფლიო მოსახლეობის 8%, 2007 წლისთვის იგი 11%-მდე გაიზარდა, ხოლო 2050 წელს 22%-ს მიაღწევს. კიდევ უფრო მძიმეა საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოსათვის


გრაფიკი 2




1 იხ.: Demographic Ycarbook, 1994, N-Y, 1996; http://unstats.un.org/unsd/demographic/products/dyb/dyb2008/Table02.xls

დღეისათვის მსოფლიოში 60 წლის და უფრო მეტი ასაკის 600 მილიონი ადამიანია. თანაც, ეს ყველაზე სწრაფად მზარდი ასაკობრივი ჯგუფია. 2025 წლისათვის ეს რიცხვი სავარაუდოდ გაორმაგდება, ხოლო 2050 წლისთვის იგი 2 მილიარდს მიაღწევს. 60 და მეტი წლის მოსახლეობის რაოდენობის 2050 წლისთვის მთელი მოსახლეობის 22%-ამდე მიღწევის პარალელურად ბავშვების წილი, შესაბამისად, შემცირდება ამჟამინდელი 28%-დან 20%-მდე. ხნოვანთა რაოდენობის ზრდის დინამიკა განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში იქნება თვალსაჩინო. - გაეროს სპეციალიზებული ინსტიტუტების მონაცემებით, 2050 წლისათვის მოხუცებულთა 80%-ზე მეტი იცხოვრებს განვითარებად ქვეყნებში. გაეროს ექსპერტთა შეფასებით, ამ დროისათვის განვითარებულ ქვეყნებში ხანდაზმულთა მოსახლეობის რიცხვი 30% იქნება (ამჟამად მათი წილი მხოლოდ 20%-ია), ხოლო განვითარებად ქვეყნებში - 20%. მთელი ოცდამეერთე საუკუნის პირველ ნახევარში 60 წელს გადაცილებულთა საშუალო ზრდის ტემპი 3.2-ჯერ უფრო მაღალი იქნება მთელი მოსახლეობის ზრდის ანალოგიურ მაჩვენებელზე (იხ. დანართი 3). 2050 წლისთვის, გაეროს ექსპერტების პროგნოზით, მსოფლიოს ექვს ქვეყანაში 60-ს გადაცილებული მოსახლეობის წილი საარაკოდ მაღალი - 40 პროცენტზე მეტი იქნება.

გრაფიკი 3



აღნიშნული ქვეყნებისაგან საპირისპირო განსხვავებით,მსოფლიოს 28 ქვეყანაში (აქედან 26 აფრიკულ ქვეყანაში) 60 და მეტი წლის მოსახლეობის წილი,10 პროცენტზე დაბალი იქნება (იხ. დანართი 7). ამასთან, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისთან შედარებით აღნიშნული ასაკობრივი კონტინგენტის წილი ამ ქვეყნებში ფაქტობრივად გაორმაგებული იქნება.



ჯამური

ამჟამად **მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო ასაკი, როგორც ზემოთ ითქვა, 29 წელია.** ყველაზე ახალგაზრდა მოსახლეობა უგანდაშია (საშუალო ასაკი 15 წელი), ხოლო ყველაზე ხანდაზმული იაპონიაში (შესაბამისად, 43 წელი). **უახლოესი ოთხი ათწლეულის მანძილზე ეს ასაკი დაახლოებით 10 წლით გაიზრდება და 2050 წლისთვის 38 წელს მიაღწევს.** ყველაზე ახალგაზრდა მოსახლეობა, პროგნოზით, იქნება ბურუნდისა და უგანდაში (საშუალოდ, 20-20 წელი), ყველაზე ხანდაზმული კი ჩინეთის სპეციალურ ადმინისტრაციულ რაიონ მაკაოსა და კორეის რესპუბლიკაში, სადაც მოსახლეობის საშუალო ასაკი 54 წელი იქნება.

ზოგადად, მოსახლეობის დაბერება თანამედროვე საზოგადოების გამარჯვებად ითვლება. იგი გულისხმობს ადამიანების ჯანმრთელობის გაუმჯობესებას მთელს მსოფლიოში, მაგრამ ამავდროულად აყენებს განსაკუთრებულ ამოცანებს განვითარებული


ქვეყნების წინაშე. 2005 წელს სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია და საფრანგეთი, უკვე გადააჭარბა 80 წელს. 2009 წლისათვის ევროპის 31 სახელმწიფოდან (ევროკავშირის 27 და მასთან ეკონომიკურად და კულტურულად ფაქტობრივად განუყოფელი 4 სახელმწიფო: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, შვეიცარია) სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 25-ში ქალებისა 80 წელს, ხოლო 24-ში კაცებისა 75 წელს აღემატებოდა[1]. განვითარებად ქვეყნებში იგი ასევე იზრდება: შეიძლება ითქვას, დღეს კოსტა-რიკაში, ლიბანში, ტაილანდში, ჩილეში, შრი-ლანკაში ან იამაიკაში დაბადებული ბავშვი იცოცხლებს 70 წელზე მეტს. **მეოცე საუკუნის დასაწყისთან შედარებით მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის გაორმაგდა.** ამასთან, ჯერ კიდევ მაღალია განსხვავება ამ მაჩვენებლით მსოფლიოს *განვითარებულ* და *განვითარებად* ქვეყნებს შორის. ასე მაგალითად, იმ დროს, როდესაც იაპონიაში მსოფლიოში ყველაზე მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (82,2 წელი), აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი მთელი 40 წლით ნაკლებია.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა განსხვავდება არა მარტო ქვეყნების მიხედვით, არამედ ქვეყნების შიგნით ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების მიხედვით. ეს ხანგრძლივობა მაღალ დადებით კორელაციაშია შემოსავლებისა და კეთილდღეობის შესაბამის მაჩვენებელთან. ბევრ ქვეყანაში **სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ადამიანების ჯგუფში, რომლებსაც უკავიათ უფრო მაღალი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, 20 წლით უსწრებს ანალოგიურ მაჩვენებელს იმ ჯგუფებში, რომლებსაც უფრო დაბალი სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა უჭირავთ.**

განსხვავება შეიმჩნევა გენდერული ნიშნითაც, თანაც რაც უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფზეა საუბარი, მით უფრო მაღალია მათში ქალების წილი.

---

1 იხ.: Latest figures on the demographic challenges in the EU. – Eurostat Newsrelease. 50/2011, 1 April 2011.



ცალკეული ადამიანის *ბიოლოგიური დაბერებისაგან* განსხვავებით, მოსახლეობის *დემოგრაფიული დაბერება* სოციალური პროცესია და უკავშირდება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციას. იგი შეიძლება განვითარდეს გარკვეულ ზღვრამდე, ხოლო განსაზღვრულ პირობებში შეიძლება დაიწყოს მოსახლეობის გაახალგაზრდავების პროცესი. ამ კუთხით მოსახლეობის „დაბერება-გაახალგაზრდავებასთან" არავითარი კავშირი არა აქვს *მოსახლეობის ისტორიულ დაბერებას*. ამ თეზისს, როგორც მითს, ისე განვიხილავთ, რომლის დასამტკიცებლად სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს საკმარისი არგუმენტები[1].

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდა არ არის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ერთადერთი კრიტერიუმი. მის გარდა აღნიშნული ტენდენციის შესაფასებლად გამოიყენებიან ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა:

ა) 64 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილის ზრდა მთელს მოსახლეობაში;

ბ) შრომისუნარიან მოსახლეობაში უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წილის მატება;

გ) რეპროდუქციული ასაკის ქალებში ხნიერი კონტინგენტის მომატება.

1 მაგალითად, მოსახლეობის მედიანური ასაკი ჩინეთში 34.2 წელია, ხოლო ინდოეთში 25.0 წელი (იხ.Human Development Report, 2010, p. 185-186), მაშინ როდესაც ეს ორი ერი ისტორიულად საკმაოდ „ხანდაზმულნი" და, შეიძლება ითქვას, „ერთი თაობისანი" არიან.

დემოგრაფიული დაბერების დონის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად მიჩნეულია *სიბერის კოეფიციენტი*, რომელიც გვიჩვენებს 64 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილს მთელს მოსახლეობაში.

დღეისათვის მსოფლიოს 224 სახელმწიფოსა და ტერიტორიის მიხედვით 96-ში (მათი საერთო რაოდენობის 42.9%) 64 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი აღემატება 7 პროცენტს, რომელიც მიჩნეულია კრიტიკულ ზღვრად. აქედან 38 სახელმწიფოში ხანდაზმული მოსახლეობის წილი კრიტიკულ დონეს (ანუ 14%-ს) 2-ჯერ და მეტად აღემატება (იხ. დანართი 4), მათ შორის ევროპის 27 სახელმწიფოსა და ტერიტორიაში[1]. განსაკუთრებით მაღალია ეს მაჩვენებელი ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა მონაკო (23.0%), იაპონია (22.2%), გერმანია (20.3%), იტალია (20.2%) და სხვ. **ევროპაში, ფაქტობრივად, აღარ დარჩა ქვეყანა, რომელიც დემოგრაფიულად დაბერებულად არ ითვლებოდეს**. ამ, ხანდაზმული მოსახლეობის კრიტიკულად მაღალი წილის მქონე ქვეყნებს, მიეკუთვნება აგრეთვე საქართველოც, სადაც 64 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს 13.8%-ს.

ბევრ ქვეყანაში ამ კატეგორიის მოსახლეობის წილი კრიტიკულად დაბალია. მაგალითად, არაბთა გაერთიანებულ ემირატებში 64 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მხოლოდ 0.9%-ია, ნაურუსა და უგანდაში 2.10-2.10% თითოეულში, ნიგერში და ზამბიაში 2.3-2.3% თითოეულში, ავღანეთში 2.4%, ბურკინა ფასოში, ბურუნდიში, კონგოში, რუანდაში, სუდანში 2.5-2.5% თითოეულში და ა.შ.


აქვე უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის დაბერების (ან პირიქით, გაახალგაზრდავების) მაჩვენებელი შეიძლება განპირობებული იყოს ან *ასაკოვანი მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვნობის გადიდებით მათში მოკვდაობის შემცირებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის გამო („დაბერება ზემოდან“), ან მოზარდი თაობის (0-15 წლის მოსახლეობის) აბსოლუტური*

1 ბელგია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, რუმინეთი, სან-მარინო, სერბია, სლოვენია, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ფარერის კუნძულები, შეიცარია, შვედეთი, ხორვატია.

რიცხოვნობის შემცირებით შობადობის შემცირების გამო („დაბერება ქვემოდან“). ამჟამად „ზემოდან“ დაბერების ტიპი დამახასიათებელია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის, მაშინ როდესაც განვითარებად ქვეყნებში „ქვემოდან“ დაბერებაა დაწყებული. ამასთან, მსოფლიოში ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისათვის გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებთან შედარებით იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებშიც შობადობის არსებული დონე არაა საკმარისი მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოებისათვის, გაიზარდა 5-ჯერ და მეტად -13-დან 66-მდე. მათში ამჟამად მსოფლიო მოსახლეობის 45 პროცენტი ცხოვრობს.

დემოგრაფიული დაბერების შედარებით ობიექტური მაჩვენებელია **მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის** მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს *დაბერებულთა და 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობას შრომისუნარიანი ასაკის ყოველ 100 კაცზე.* ამასთან, უაღრესად საინტერესოა *ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის თანაფარდობა ბავშვების რაოდენობასთან.* რაც უფრო დაბალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო დაბალი იქნება მოსახლეობის დაბერების პროცესი და პირიქით. ჯერჯერობით მსოფლიოს 27 სახელმწიფოში აღნიშნული თანაფარდობა 100%-ს აღემატება. რეკორდული მაჩვენებელი აქვს ამ მხრივ იაპონიას (164.4%) და მონაკოს (157.5%). ყოფილი იუგოსლავიის შემადგენლობაში მყოფი 6 ქვეყნიდან 4-ს (ბოსნია და ჰერცოგოვინა, ხორვატია, სერბეთი და სლოვენია) ასევე 100 პროცენტზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ.

დემოგრაფიული დატვირთვის ყველაზე მაღალი დონის ქვეყნები (65 წელზე უხნესი მოსახლეობის თანაფარდობა -14 წლიანების რაოდენობასთან იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 100%-ს აღემატება), პროცენტი



ამავე დროს, დაბალია ხანდაზმული მოსახლეობის წილი ქვეყნებში, სადაც მაღალია შობადობის მაჩვენებლები და დაბალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. მაგალითად, აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის წილი კრიტიკულად დაბალია აფრიკის ქვეყნების ნახევარზე მეტში (იხ. დანართი 5).

მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია:

ა) შობადობის დონის ცვლილება;

ბ) მოკვდაობის დონის ცვლილება;

გ) მოსახლეობის მიგრაცია;

დ) ომები;

ე) ეკონომიკური კრიზისები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ თავისთავად ყველა ზემოთ დასახელებული ფაქტორი ცალ-ცალკე არ ნიშნავს დემოგრაფიულ დაბერებას (შობადობის დონის შემცირება თავისთავად არ ნიშნავს დემოგრაფიულ დაბერებას, თუკი შესაბამისი პროპორციით მცირდება მოსახლეობის მაღალი ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობა ქვეყანაში, (მაგალითად, მასობრივი მიგრაციის ან საომარი მოქმედებების გამო), თუმცა მთლიანობაში ისინი ხელს უწყობენ დასახელებულ პროცესს.

მოსახლეობის დაბერებას შობადობის შემცირებაზე მეტად ხელი შეუწყო უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდამ, რამაც გაზარდა ამ ასაკობრივი კოჰორტის მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

დიდია მიგრაციის ფაქტორის როლი მოსახლეობის დაბერებაში, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებთა შორის. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოსახლეობის საშუალო ასაკმა, კერძოდ ფერტილური ასაკის მქონე ქალების საშუალო ასაკმა, მოსახლეობის კვლავწარმოებისათვის კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემია ევროპაში, სადაც საშუალო ასაკი ქალებში გაცილებით მაღალია, ვიდრე კაცებში. ეს ქმნის ბუნებრივი მატების მაჩვენებლის მინიმიზაციის, შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლების დაახლოების მაღალ რისკს. მაგალითად, EU27-დან 2010 წელს 8 სახელმწიფოს (ბულგარეთი, გერმანია, იტალია, ლატვია, ლიტვა, პორტუგალია, უნგრეთი) ჰქონდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების 350.4-ათასიანი უარყოფითი (გარდაცვალებათა მეტობა შობადობაზე) სალდო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა გერმანიასა და იტალიაში, სადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების

უარყოფითი სალდოს პირობებში ადგილი ჰქონდა საგრძნობ, თითქმის ნახევარმილიონიან დადებით მიგრაციულ სალდოს[1]. მთლიანობაში ევროკავშირში მიგრაციული სალდო 2010 წელს თითქმის 1.7-ჯერ აღემატებოდა მოსახლეობის ბუნებრივ მატებას, მათ შორის ევროზონაში - 2.1-ჯერ (იხ. დანართი 6).

მოსახლეობის დაბერებას აქვს მრავალი ასპექტი, მათ შორის ეკონომიკური და სამხედრო პოლიტიკური. მაგალითად, ბევრი მეცნიერი 1940 წელს საფრანგეთის გერმანიასთან დამარცხების ერთერთ მთავარ მიზეზად ასახელებდა არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციას,მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას.[2] საქართველოს *მოსახლეობის საშუალო ასაკის ერთი წლით ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, როგორც წესი, იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების პოტენციალის 2.4-2.5 პროცენტით შემცირებას.* დემოგრაფიული დაბერების პროცესი სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების საკითხს, ზრდის ქალთა სქესის წარმომადგენლების სავალდებულო სამსახურის შემოღების აქტუალობას და სხვა. შესაბამისად, იგი თანამედროვე მსოფლიოსათვის მზარდი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემაა.

---


1 ევროკავშირის 27 ქვეყნიდან მხოლოდ 3 ქვეყანაა (ირლანდია, პოლონეთი, კვიპროსი), რომელთაც ბუნებრივი მატების პირობებში აღენიშნებათ უარყოფითი მიგრაციული სალდო.

2 იხ.: Осколкова. Современные демографическое тенденции. – М.: «Наука», 1984, с. 36.

§2. მოსახლეობის დაბერების თავისებურებანი საქართველოში

მოსახლეობის დაბერების გლობალური პროცესი არ ასცდა საქართველოს. დაახლოებით ბოლო 130 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა ფაქტობრივად გაორმაგდა[1].

გრაფიკი 7



რიგი მიზეზების გამო, რომელთაგან ძირითადი დაკავშირებულია ქვეყნის სისტემურ ტრანსფორმაციასთან, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობასთან, აღნიშნული პროცესი 1990-იანი წლების დასაწყისიდან რიგი

1 1880 წელს თბილისის გუბერნიაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენდა მამაკაცებისათვის 35 წელს, ხოლო ქალებისათვის 38 წელს. იხ.: Котрикадзе Б., Синелников. Рождаемость в Грузинской ССР: тенденции и пути регулирования. Тбилилси, 1990, сс. 8-9. ამჟამად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 74 წელს, მათ შორის ქალებში თითქმის 78 წელს, კაცებში - 70 წელს.

თავისებურებებით ხასიათდებოდა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში ადგილი ჰქონდა მასობრივ მიგრაციას. ქვეყნის მოსახლეობა ბოლო 20-22 წლის მანძილზე შემცირდა (არაკონტროლირებად ტერიტორიებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩარჩენილი მოსახლეობის გათვალისწინებით) დაახლოებით 1.1 მლნ. კაცით - დაახლოებით 1/5-ით[1]. მიგრაციას ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: ეკონომიკური და ეთნიკური.

მიგრანტთა ძირითადი ნაწილი (სხვადასხვა შეფასებით, 2/3-დან ¾-მდე) საქართველოდან გავიდა ეკონომიკური მიზეზებით, თუმცა ადგილი ჰქონდა აგრეთვე ეთნიკურ მიგრაციასაც. სსრკ-ის დაშლის შემდეგ თავის ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდნენ ეთნიკური რუსების, ბერძნების, ებრაელების მნიშვნელოვანი ნაწილი. რუსების რაოდენობა საქართველოში 1989 წლის 341 ათასიდან შემცირდა 2002 წლის 67 ათასამდე[2]. ასევე შემცირდა ბერძნებისა და ებრაელების რაოდენობა. საქართველოდან დიდი რაოდენობით გავიდა ქართველი მოსახლეობაც. ამასთან, არაქართველთა შორის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეთნიკურ მიგრაციას) მიგრაციის ინტენსივობა თითქმის ორჯერ აღემატებოდა ქვეყნის ავტოქტონური მოსახლეობის მიგრაციის ინტენსივობას.

მიგრანტთა შორის განსაკუთრებით მაღალი იყო ყველაზე რეპროდუქციულ და შრომისუნარიან ასაკში გასულთა რაოდენობა. *არაეთნიკურ მიგრანტთა* 85 პროცენტი 20-50 წლის იყო, მაშინ როდესაც აღნიშნული ასაკის მოსახლეობის წილი მოსახლეობის მთელ რაოდენობაში მხოლოდ 42-44 პროცენტია.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში შეინიშნება დადებითი მიგრაციული სალდო, მთლიანობაში იგი რჩება მაღალი მიგრაციის მქონე ქვეყნად.[3]

1 ცალკეული ექსპერტები ასახელებენ მიგრანტთა კიდევ უფრო დიდ ციფრს, დაახლოებით 2.0 მლნ.-მდეც კი.

2 აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გათვალისწინებით - 100 ათასამდე.

3 დემოგრაფი გ. წულაძე მიიჩნევს, რომ 2007 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის ფაქტობრივი რაოდენობა მუდმივ მოსახლეობაზე დაახლოებით 555.5 ათასი ნაკლები იყო. იხ.: გ. წულაძე და სხვ. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ. თბილისი, 2008, გვ. 70.


აღნიშნულმა გარემოებამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა შესაყარზე საქართველოში შობადობის მკვეთრ დაცემაში, მოკვდაობის თითქმის უცვლელი დონის პირობებში. - მაგალითად, 2002 წელს საქართველოში დაიბადა 46605 ბავშვი, გარდაიცვალა 46446, ბუნებრივმა მატებამ შეადგინა მხოლოდ 159(!) კაცი, 2003 წელს, შესაბამისად, 46194, 46055 და 139, 2004 წელს 49572, 48793 და 779 კაცი. ამ მხრივ შეიძლება საკმაოდ მაღალი ალბათობით საუბარი დემოგრაფიული გადასვლის ე.წ. *ქართულ ტიპზე*, რომლისთვისაც დამახასიათებელია სწორედ რომ შობადობის შემცირება მოკვდაობის ფაქტობრივი უცვლელობის პირობებში.[1]

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთან შედარებით გავლილ პერიოდში საქართველოში არსებითად შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები. არა მარტო გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, არამედ თანაფარდობაც მის ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებს

1897 წელთან შედარებით 2011 წელს, ბავშვთა წილი თითქმის სამჯერ (2.9-ჯერ) შემცირდა, ხოლო 64 წელს გადაცილებულთა რაოდენობა თითქმის იმავე პროპორციით (2.7-ჯერ) გაიზარდა, ანუ 114 წლის მანძილზე თანაფარდობა ხანდაზმული ასაკის მოსახლეობასა და ბავშვების რაოდენობას შორის თითქმის 8-ჯერ შეიცვალა პირველის სასარგებლოდ, რაზეც წარმოდგენს ქვემორე გრაფიკი იძლევა.

---

1 დემოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია დემოგრაფიული გადასვლის სამი ტიპი: *ინგლისური* - როდესაც შობადობა უცვლელ დონეზეა, მოკვდაობა კი მცირდება, *ფრანგული* - როდესაც შობადობისა და მოკვდაობის შემცირება ერთდროულად ხდება და *იაპონურ-მექსიკური* როდესაც შობადობა შედარებით ნელა იზრდება მოკვდაობის შემცირებისას. იხ.: Пирожков С.И. Демографические процессы и возрастная структура населения. М.: «Статитстика», 1976, с. 54. დემოგრაფიული გადასვლის ქართული ტიპი ყველაზე ახლოს ფრანგულ ტიპთან დგას.




ამასთან, თუ, მაგალითად, 1989 წელს მთელი მოსახლეობის რაოდენობა 1897 წელთან შედარებით გაიზარდა 2.6-ჯერ, 59-წელს გადაცილებულთა რაოდენობა გაიზარდა 5.2-ჯერ. 2007 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 1959 წელთან შედარებით გაიზარდა 8.7 პროცენტით, მათ შორის 60 და მეტი წლისა 37.6 პროცენტით. გამოდის, რომ **ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასაკოვანი მოსახლეობის ზრდის ტემპი 4.3-ჯერ აღემატებოდა მოსახლეობის მატების საშუალო ტემპს და 7.4 ჯერ - 60 წლამდე მოსახლეობის მატების ტემპს (+5.1%)**[1].

ამ ხნის განმავლობაში *დაბერების ინდექსი*, ანუ 64 წელზე უხნესი მოსახლეობის თანაფარდობა 14 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობასთან, თითქმის 8-ჯერ გაიზარდა 10.4%-დან 81.2%–მდე.

გრაფიკი 9

---

1 აღსანიშნავია, რომ თვით ეს მონაცემებიც გარკვეულ ეჭვს იწვევს ქართველ მეცნიერებში და ისინი თვლიან, რომ 2007 წლის მიხედვით უნდა შემცირდეს მოსახლეობის საერთო რაოდენობა ოფიციალურთან შედარებით (4394.7 ათასიდან 3839.2 ათასამდე, ანუ 555.5 ათასით, ხოლო 60 და მეტი წლის მოსახლეობა უნდა გაიზარდოს დეკლარირებული 610.9 ათასიდან 782.8 ათასამდე. იხ.: საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ, გვ. 137. ამ შემთხვევაში ასაკოვანი მოსახლეობის მატების ტემპი 2007 წელს 1959 წელთან შედარებით იქნება 76.3% მთელი მოსახლეობის 5.1%-ით შემცირების, ხოლო 60 წლამდე მოსახლეობის - 24.4 პროცენტით შემცირების პირობებში.



როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს (იხ. გრაფიკი 8),ერთი საუკუნის მანძილზე დემოგრაფიული დატვირთვის ინტენსივობა,როგორც ხანდაზმული მოსახლეობის თანაფარდობა შრომისუნარიან მოსახლეობასთან,გაიზარდა თითქმის 2.7-ჯერ - 7.6%-დან 20.3%-მდე.

განსაკუთრებით მაღალია მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი სოფელ ადგილებში, სადაც ის ქალაქის მაჩვენებელზე 1.5-ჯერ და უფრო მეტად მაღალია. სოფელ ადგილებში ხანდაზმულთა რაოდენობა ბავშვების რაოდენობას არა თუ დაუახლოვდა, არამედ გადააჭარბა კიდეც.

მოსახლეობის დაბერების პროცესი დროში გაწელილი პროცესია, იგი, ფაქტობრივად, დროის ფუნქციაა და ახასიათებს ცალკეული ეტაპები და მათი შესატყვისი ტემპები, პერიოდიზაცია.

საქართველოში დემოგრაფიული დაბერების პროცესი დაიწყო მეცხრამეტე საუკუნეში პატრიარქარული მეურნეობის საბაზრო მეურნეობით ჩანაცვლების პროცესის პარალელურად. იგი საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა და დასრულდა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში.[1] შობადობის შემცირებამ და მეორე მსოფლიო ომში დიდმა ადამიანურმა მსხვერპლმა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა შრომისუნარიანი, რეპროდუქციულ ასაკში მყოფი ადამიანები (ძირითადად მამაკაცები) იყვნენ, საქართველოში დააჩქარა *დემოგრაფიული აბალგაზრდობის პერიოდის* დასრულება. მეორე მსოფლიო ომის შემ-

1 იხ. მზია შელია, მოსახლეობის დაბერება საქართველოში, გვ. 39.

დგომმა ჩატარებულმა აღწერამ დააფიქსირა, რომ 59 წელს გადაცილებულთა რაოდენობა საქართველოში უკვე აღემატებოდა კრიტიკულ, 7-პროცენტიან ზღვარს. საქართველოს მოსახლეობა ამჟამად დემოგრაფიული სიბერის მდგომარეობაში იმყოფება. **მეოცე საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 3-ჯერ, ხოლო 59 წელს გადაცილებულთა რაოდენობა 7-ჯერ.** 1897 წელთან შედარებით მოსახლეობის მედიანური ასაკი გაიზარდა თითქმის 17 წლით. – 1897 წელს მოსახლეობის საშუალო ასაკი შეადგენდა 20.0 წელს, ხოლო 2010 წელს 37.6 წელს.[1] **1990-იანი წლებიდან საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი სამ წელიწადში თითო წლით მატულობს.** 2002 წლის აღწერით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მოსახლეობის მესამედზე მეტი 60 წელს იყო გადაცილებული, ხოლო ბავშვების წილად მოდიოდა საერთო რაოდენობის მხოლოდ 16.4 პროცენტი (საქართველოში საშუალოდ – 21.0%). რაჭის მოსახლეობა 1939 წლის 67 ათასიდან 2011 წლისთვის შემცირდა 22.7 ათასამდე, ანუ თითქმის 3–ჯერ. ქვეყნის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 40 წელს გადაცილებულთა წილი 2010 წლის მდგომარეობით უკვე 55.5 პროცენტია, მაშინ როდესაც 2002 წელს მხოლოდ 44 პროცენტი იყო. საქართველოში დღეს 60 წელს გადაბიჯებული 831.000 ადამიანი ცხოვრობს, მათგან 450.000 70 წელზე მეტი ხნისაა, ანუ საქართველოს ყოველი მეექვსე მოქალაქე ხანდაზმულია. 2011 წელს საქართველოში 60 წელზე უხნესი მოსახლეობა 18.6%-ს შეადგენდა[2], მათ შორის საპენსიო ასაკის მოსახლეობა – 16.5%-ს. ამავე დროს, 65 წელზე უხნესი მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში მარტო ბოლო 10 წელიწადში (2001-2011 წლებში) 10.1%–ით გაიზარდა, მაშინ როდესაც დანარჩენი მოსახლეობა მხოლოდ 0.3%-ით (მთელი მოსახლეობა 1.5%-ით). იმავე პერიოდში თითქმის 1/5-ით (17.8%-ით) შემცირდა 15 წლამდე ბავშვების რაოდენობა.

1 იხ.: იხ. მზია შელიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 65 და Human Development Report, 2010, p. 185.

2 თავად საპენსიო ასაკის მოსახლეობაში მცირდება 60–69 წლიანთა წილი და იზრდება 70 წელს გადაცილებულთა რაოდენობა. 2011 წელს 70–79 წლიანების წილად მოდიოდა საქართველოს საპენსიო ასაკის მოსახლეობის 40 პროცენტი, ნაცვლად 10 წლის წინანდელი 34.5 პროცენტისა, ხოლო 80 და მეტ წლიანების წილი გაიზარდა 2001 წლის 9 პროცენტიდან 2011 წლის 18.2 პროცენტამდე.

საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დაბერებულია, მოსახლეობის საშუალო ასაკი საქართველოში აღემატება სომხეთისას 5 და აზერბაიჯანისას 8 წლით[1], ხოლო საპენსიო ასაკის მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე საქართველოში აზერბაიჯანთან შედარებით სამჯერ, ხოლო სომხეთთან შედარებით 1.8-ჯერ ნაკლები ბავშვი ცხოვრობს.

გაეროს ექსპერტთა პროგნოზით, საქართველოს მოსახლეობის დაბერების პროცესი შემდგომშიც გაგრძელდება. – 2050 წლისთვის 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი მთელს მოსახლეობაში საუკუნის დასაწყისთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზრდება და 35.8 პროცენტს მიაღწევს.

1 აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობა ხანდაზმულია მსოფლიოს საშუალო დონესთანაც შედარებით დაახლოებით 30 პროცენტით (შესაბამისად, 37.6 წელი და 29.1 წელი), ხოლო შესაბამისი „წინსწრება" ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე გაიზარდა 1.7 წლით – 1990 წლის 6.8 წლიდან 2010 წლის 8.5 წლამდე.

თავი 2. საპენსიო სისტემა, როგორც მოხუცი მოსახლეობის შემოსავლებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ძირითადი წყარო

§ 1 თანამედროვე საპენსიო უზრუნველყოფის სისტემები და სახეები მსოფლიოში

მოსახლეობის დაბერება სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ადამიანთა, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე (ეკონომიკური ზრდა, დაგროვება, ინვესტიციები, მოხმარება, დასაქმება, საპენსიო უზრუნველყოფა, საგადასახადო პოლიტიკა, დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადაცემა და ა.შ.). ამ კუთხით საპენსიო სისტემა მოხუცი, ხანდაზმული მოსახლეობის სოციალური დაზღვევისა და კეთილდღეობის ძირითადი, თუმცა არა ერთადერთი პირობაა[1]. ამასთან, მიუხედავად დიდი ისტორიული „სტაჟისა", პენსიები ხანდაზმულ, შრომისუუნარო ადამიანთა შენახვის ისტორიული ფორმებიდან ბოლო, მესამე ფორმაა. [2]

პირველ სტადიაზე ხანდაზმული ადამიანების შენახვა ხორციელდებოდა ერთობლივი შრომისა და მოხმარების საფუძველზე.

ერთობლივი მოხმარების ეფექტის (ანუ, როდესაც ერთეული ხარჯების სიდიდე ოჯახის თითოეულ წევრზე მცირდება ოჯახის წევრთა ზრდის პარალელურად) წყალობით შრომისუნარიანობა დაკარგული წევრების შენახვა რამდენიმე თაობის წარმომადგენლებისაგან მრავალწევრიან ოჯახებში გაცილებით იოლი იყო, ვიდრე ნუკლეანურ ოჯახებში. გარკვეული მოდიფიცირებით, აღნიშნული ფორმა დღემდეა შემორჩენილი ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში. განსაკუთრებით მყარია მისი პოზიციები აგრარულ რაიონებში.

---

1 სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა შედის სოციალური დაზღვევის სისტემაში, რომელიც, თავის მხრივ, გაცილებით მეტია, ვიდრე ამა თუ იმ კონკრეტული სახის დაზღვევის (ჯანმრთელობის, ქონების, სატრანსპორტო საშუალებების და ა.შ.) პროგრამა.

2 მკვლევარები გამოყოფენ ხანდაზმულ ადამიანთა შენახვის სამ ისტორიულ ფორმას, სტადიას: 1. ოჯახური ანუ პატრიარქარული; 2. კაპიტალისტური ანუ ინდივიდუალური; 3. სოცუზრუნველყოფის სახსრების ხარჯზე. – Сови А. Общая теория населения. Т. 2, «Прогресс», 1977, сс. 79-82.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ოჯახების დანაწევრებისა და რთული ოჯახების ნაცვლად ნუკლეანური ოჯახების დომინირებისას ობიექტურად წარმოიშვა იმის აუცილებლობა, რომ ადამიანებს თავადვე ეზრუნათ საკუთარ სიბერეზე. დაიწყო დანაზოგების შენახვა. აღნიშნული ფორმა აბსოლუტურად ბატონობდა თითქმის მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე, ვიდრე გერმანიის კანცლერმა ბისმარკმა (1815–1898) საფუძველი არ დაუდო საპენსიო რეფორმას, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს თანამედროვე ქვეყნების საპენსიო სისტემის თავისებურ პარადიგმას.[1]

დღეისათვის ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში მოქმედებს *სავალდებულო საპენსიო დაზღვევა*, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს, მეწარმეთა და პროფკავშირების მრავალათეულწლიანი დიალოგის, შეთანხმებისა და შესაბამისი ურთიერთობების რეგულირების კონკრეტულ შედეგს. შრომითი პენსიის დანიშვნის საფუძველად ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში მიჩნეულია 30-წლიანი შრომითი სტაჟი, მინიმალური ვადად კი, რომელიც ასევე იძლევა პენსიის (თუმცა, შემცირებული განაკვეთით), მიღების შესაძლებლობას 5 წელი. ამასთან, ყველა ქვეყანას, საკუთარი საპენსიო უზრუნველყოფის თავისებურებების მიუხედავად, გააჩნიათ ისეთი საერთო კანონზომიერებები, როგორებიცაა:

ა) *საპენსიო დაზღვევაში სახელმწიფოს მონაწილეობა.*

ეს მონაწილეობა ხორციელდება როგორც სახელმწიფო საპენსიო ფონდების მეშვეობით (რომლებიც წარმოადგენენ არაკომერციულ ორგანიზაციებს და მათი მოქმედების სფერო მოიცავს მონაწილეთა შეზღუდულ კონტინგენტს; ამ როლში, როგორც წესი, გამოდიან მსხვილი საწარმოების შრომითი კოლექტივები, გაერთიანებული პროფკავშირები), ისე გარკვეული საგადასახადო შეღა-

1 გერმანიის რაიხსტაგმა 1883 წლის 15 ივნისს მიიღო კანონი ავადმყოფობის სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შესახებ, 1884 წლის იულისში კანონი უბედურ შემთხვევათა დაზღვევის, ხოლო 1889 წლის 22 იულისს კანონი ინვალიდობის სავალდებულო დაზღვევის თაობაზე. გერმანიის შემდეგ ანალოგიური კანონები მიიღეს ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც. სადაზღვეო შენატანები შეჰქონდათ სავალდებულო წესით როგორც მუშაკებს, ისე მეწარმეებსაც. ბისმარკის ინიციატივით, გერმანიის რაიხსტაგმა 1889 წელს მიიღო კანონი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ ასაკის ან შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო.

ვათების სადაზღვევო სისტემისადმი და გარკვეული სუბვენციებით კერძო სადაზღვევო სისტემაზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა ხშირად სადაზღვევო სისტემადაც მოიაზრება, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი *შემოსავლის გადანაწილებაა*. არსებულ სისტემას ორი განსაკუთრებული და ცალსახა მიზანი გააჩნია: აიძულოს ინდივიდი, მუშაობის პერიოდიდან მიღებული შემოსავალი საპენსიო პერიოდზე გადაანაწილოს, აგრეთვე გაანაწილოს შემოსავალი ხანდაზმულებზე, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, „სოციალურად ადექვატური" მხარდაჭერის დეფიციტის წინაშე დადგებოდნენ.

ბ) არასახელმწიფო, ანუ კერძო (საწარმოო, კორპორატიული) საპენსიო ფონდები;

გ) სადაზღვევო ინსტიტუტები, რომლებიც იკავებენ პირადი დაზღვევის ნიშას გარკვეული წესით დაზღვევისა ან მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფისათვის.

ამასთან, პენსიის მიღების უფლება აქვს ყველა დასაქმებულს. სახელმწიფო საპენსიო დაზღვევას, როგორც წესი, ექვემდებარება ქვეყნის მთელი მოსახლეობა, ან მისი ცალკეული კატეგორიები (მაგალითად, სახელმწიფო მოხელეები). ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო პენსიასთან ერთად მოქმედებს *დამატებითი პენსია, სახელმწიფო პენსია* მიეცემა ქვეყნის ყველა მცხოვრებს (მაგ., ნიდერლანდები, დანია), ხოლო *დამატებითი პენსია* ყველა დასაქმებულს.

პენსიის დაფინანსების წყარო, როგორც წესი სამია: დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასი, დამქირავებლის მიერ მის მიერ დაქირავებული მუშაკისათვის დარიცხული ხელფასის გარკვეული ნაწილი და სახელმწიფო რესურსები, რომლითაც ის ფარავს სახელმწიფო ფონდის დეფიციტს (საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია), ან ფარავს საპენსიო ფონდის სახსრების ფიქსირებულ ნაწილს (გერმანია, ბელგია - 20-20%; შვეცია - ძირითადი პენსიის 42%). დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში *ვადამდელი პენსია* ნებადართულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და გარკვეული პირობების დაკმაყოფილებისას. საპენსიო

შემოსავლები, როგორც წესი, იბეგრება (გამონაკლისს წარმოადგენს გერმანია).

თანამედროვე მსოფლიოში საპენსიო სისტემის სამ ძირითად და შესაბამისი რესურსების მობილიზების ორ ძირითად მოდელებს იცნობენ.

საპენსიო სისტემის მოდელებია: სახელმწიფო მოდელი, სახელმწიფო-კერძო მოდელი და კერძო მოდელი.

ყოველი მათგანი ზოგადად, ორ ძირითად პირობას უნდა აკმაყოფილებდეს:

სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მინიმალური უზრუნველყოფა;

სამართლიანობა პენსია მოქალაქის აქტიური შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობისა და საპენსიო ფონდში შენატანების პროპორციული უნდა იყოს.

საპენსიო დაზღვევის სახელმწიფო მოდელი ეყრდნობა ისეთ ერთიან სავალდებულო-საპენსიო სისტემას, როცა პენსიის მოცულობა პროპორციულია გამომუშავებული თანხის მოცულობისა და ფრაგმენტულ და ნებაყოფლობით კერძო სისტემას, რომელიც მოსახლეობის მცირე ჯგუფზე ვრცელდება (ლუქსემბურგი, პორტუგალია, ესპანეთი).

საპენსიო დაზღვევის სახელმწიფო-კერძო მოდელი თანაბარი პროპორციით ეყრდნობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორს (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია).

საპენსიო დაზღვევის კერძო მოდელი პრაქტიკულად მთლიანად ეყრდნობა სავალდებულო-კერძო სისტემას. პენსიის მოცულობა დამოკიდებულია შემოსავლების მოცულობაზე (ჩილე, არგენტინა, ავსტრალია).

დღეისათვის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გავრცელებულია საპენსიო სისტემების დაფინანსების ორი ძირითადი ხერხი, ფორმა:

ა) **გადანაწილებითი საპენსიო სისტემა** (როგორც მას დასავლეთში უწოდებენ„„pay-as-gosystem“) მას „თაობათა სოლიდარობის“ ან „მიმდინარე შემოსავლებიდან დაფინანსების“ პრინციპსაც უწოდებენ, და

ბ) **დაგროვებითი სარეზერვო ფონდი.**

შეიძლება ითქვას, რომ პირველი ხერხი საფუძველს იღებს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ე.წ. „ბევერიჯისეული მოდელისაგან[1]“, ხოლო მეორე – „ბისმარკისეული მოდელისაგან“[2].

პირველ ფორმაზე დაფუძნებული სისტემები დღეისათვის ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევით, ყოველი ოთხი ქვეყნიდან 3-ს სწორედ აღნიშნული ფორმა აქვს გამოყენებული. ის მიმზიდველია თავისი ხელმიწვდომობისა და მის ორგანიზაციასა და მართვაში ჩადებული პრინციპების სიმარტივით. საბაზისო პრინციპად აქ გამოდის *„თაობათა სოლიდარობის“ პრინციპი*, რომლის მიხედვით მოსახლეობის ქმედუნარიანი და აქტიური ნაწილი უზრუნველყოფს უფროსი თაობის პენსიებს, ანუ განსაზღვრული თაობების პენსიონერების რჩენა ეკისრება უფრო მრავალრიცხოვან (როგორც აღმოჩნდა, ფაქტობრივად, მხოლოდ ისტორიულად განსაზღვრულ დროებრივ მონაკვეთში და არა აბსოლუტური მნიშვნელობით, რაც ქვემოთ მოტანილი მონაცემებითაც დასტურდება) ასაკობრივ ჯგუფებს. იგი გულისხმობს თავისებურ *სოციალურ კონტრაქტს*, რომელიც არეგულირებს თაობათა შორის ურთიერთობებს საზოგადოებრივი ინსტიტუტების მეშვეობით. ყოველ კონკრეტულ მომენტში მომუშავე თაობა ახდენს მათი თანამედროვე პენსიონერებისათვის საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსებას იმის გათვალისწინებით, რომ რომ მომავალი თაობებიც ანალოგიურად მოიქცევიან და და თავიანთი შემოსავლის დაახლოებით იმავე ნაწილს წარმართავენ მათ საპენსიო უზრუნველყოფაზე. დიდია მის ორგანიზებაში კოლექტიური და პროფესიული სოლიდარობის ნიშნის როლი. მეოცე საუკუნის შუა წლებიდან ყველა განვითარებულ ქვეყანაში ნორმად სწორედ თაობათა სოლიდარობის პრინციპს

1 „ბევერიჯისეული მოდელი“ სახელწოდებას იღებს ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის უილიამ ბევერიჯის (1879--1963) სახელიდან და ეფუძნება სოციალური სოლიდარობის პრინციპსა და განაწილებითი სამართლიანობის კონცეფციას. აღნიშნული მოდელით, ნებისმიერ ადამიანს აქვს მინიმალური დაცულობის უფლება ავადმყოფობის, სიბერის ან საკუთარი მატერიალური საშუალებების შემცირების გამო.

2 „ბისმარკისეული მოდელი“ ითვალიწინებს სოციალური დაცვის დონის მაღალ კორელაციას პროფესიული საქმიანობის წარმატებულობასთან (ხანგრძლივობასთან).

დაფუძნებული *გადანაწილებითი საპენსიო სისტემა* იქცა. დასაქმებული მოსახლეობა იხდის სოციალურ გადასახადებს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო ბიუჯეტიდან ეს სახსრები ეძლევა მათ, ვინც უკვე გავიდა პენსიაზე. აღნიშნული წესი ითვალისწინებს ფინანსური შემოსავლების მხოლოდ ერთ წყაროს შენატანებს, რომლებსაც იხდიან დამქირავებლები (ბევრ ქვეყანაში - აგრეთვე მუშაკებიც), და რომლებიც მთლიანად მიემართებიან პენსიების გასაცემად. ამ დროს ისეთი მიზანი, როგორიცაა *მნიშვნელოვანი ფინანსური რეზერვების შექმნა და შემოსავლების მიღება თავისუფალი ფულადი სახსრების მაკროეკონომიკური მიზნებისათვის, ინვესტიციებად გამოყენება*, არ წარმოადგენს აღნიშნული სისტემის უშუალო მიზანს.

ამასთან ერთად, ამ სისტემის ძირითადი ნაკლი ისაა, რომ იგი ამცირებს მოსახლეობის მისწრაფებას დანაზოგებისადმი (მაინც სახელმწიფო იზრუნებს). ამავე დროს, იგი გარკვეულწილად ხელს უწყობს შვილთაშობის მოტივაციის შემცირებას, რადგანაც შვილებს ართმევს მოხუცი მშობლის უზრუნველმყოფი სიბერის შექმნის ფუნქციას.

მეორის (დაგროვებითი სისტემის) საფუძვლად აღებულია *ფულადი ფონდის* შექმნის სქემა. დაგროვებითი სისტემა ორგანიზებულია უფრო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნიშნით. მასში აკუმულირდება ყველა ფინანსური რესურსი, რომელთაგან მხოლოდ ნაწილი გამოიყენება მიმდინარე საპენსიო გადასახდელების დასაფარად. მეორე, სარეზერვო და გაცილებით დიდი ნაწილი წარმოადგენს შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებულ საინვესტიციო წყაროს. იგი ყალიბდება ფონდის საქმიანობის პირველსავე ეტაპზე მასში მონაწილე მომუშავეების მიერ განხორციელებული მთლიანი შენატანების მნიშვნელოვანი მეტობით იმ თანხაზე, რომელიც აუცილებელია პენსიების გასაცემად. ფონდის განვითარების კვალობაზე მონაწილეთა შენატანები სულ უფრო კლებულობს მიმდინარე საპენსიო ხარჯებთან შედარებით, რადგანაც სხვაობა იფარება საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით[1].

---

1 აღნიშნული სქემის წარმატებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს განვითარებული საბაზრო და ფინანსური, მათ შორის საფონდო ინსტიტუტების არსებობა. ასეთ ქვეყნებში საპენსიო ფონდების, როგორც გრძელვადიანი ინვესტორების მიერ ფასიან ქაღალდებზე უკუგება შეადგენს საშუალოდ 7–9 პროცენტს.

დაგროვებითი წესი ფართოდაა გავრცელებული *არასახელმწიფო საპენსიო ფონდებში*, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების კუთვნილ ფონდებში (გაერო, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი და ა.შ.), თუმცა ასევე ფართოდ გამოიყენება ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო საპენსიო სისტემებში, მათ შორის აშშ-ში.

მთლიანად, სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის წილი უფრო მაღალია კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, შედარებით დაბალი ანგლოსაქსურ ქვეყნებში, თუმცა ორივეგან სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის წილი საგრძნობლად აჭარბებს კერძო დაზღვევის წილს[1].

განაწილებითი და დაგროვებითი საპენსიო სისტემების ძირითადი ნიშნები

(ევროპის ქვეყნების მაგალითზე)

	განაწილებითი საპენსიო სისტემა	დაგროვებითი საპენსიო სისტემა
გავრცელების არეალი	ქვეყნების 3/4	ქვეყნების
საბაზისო პრინციპი	თაობათა სოლიდარობა - მოსახლეობის ქმედუნარიანი ნაწილის მიერ პენსიონერების რჩენა	ფულადი ფონდის შექმნა, რომლის სიდიდეზეც იქნება დამოკიდებული გასაცემი პენსიის სიდიდე
სახსრების აკუმულირების ძირითადი მიზანი	პენსიების გაცემა	1. საპენსიო გასაცემლების მიზნით სახსრების აკუმულირება; 2.შემოსავლების მიღებაზე ორიენტირებული საინვესტიციო საქმიანობა

1 სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფა სოციალური დაზღვევის უმსხვილესი პროგრამაა, მაგრამ საპენსიო უზრუნველყოფის გარდა, მოხუცებულთა რიცხოვნობისა და წილის ზრდა მოითხოვს მზარდ საზოგადოებრივ და შიდაოჯახურ ხარჯებს სამედიცინო მომსახურებაზეც, რაც უკავშირდება ხანდაზმული ადამიანების ავადმყოფობის ხანგრძლივობის ზრდას.

წყარო	- დასაქმებულთა შენატანები; - მეწარმეთა ანარიცხები; - სახელმწიფოს ბიუჯეტი; - საპენსიო ფონდები	- დასაქმებულთა შენატანები; - მეწარმეთა შენატანები; სახელმწიფოს წილობრივი მონაწილება (თანადაფინანსება); - სახელმწიფო სუბვენციები.
დასაქმებულთა დამოკიდებულება	აუცილებელი გადასახადი	დანაზოგის სპეციფიკური ფორმა
დაბალი რისკები	პოლიტიკური სტაბილურობის პირობებში	უცხოური ფინანსური ინსტიტუტების ფართო მონაწილეობისა და გადაზღვევების შემთხვევაში

ამასთან, როდესაც ვსაუბრობთ *განაწილებით* და *დაგროვებით საპენსიო სისტემებზე*, არ უნდა წარმოვიდგინოთ მდგომარეობა ისე, თითქოს ადგილი აქვს მათ ალტერნატიულ არსებობას. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში და განსაკუთრებით, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში აღინიშნება ამ ორი საპენსიო სისტემის ერთგვარი დიფუზია, კონვერგენცია, ისევე როგორც სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს საპენსიო დაზღვევის კერძო და კომბინირებული (სახელმწიფო-კერძო) სისტემები.

სავალდებულო საპენსიო დაზღვევასთან ერთად არსებობს *დამატებითი ნებაყოფლობითი საპენსიო დაზღვევა* საწარმოებში. ის მოიცავს დაქირავებითი შრომით დაკავებულ პირებს რომლებსაც დადებული აქვთ ინდივიდუალური ან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები. ზოგ ქვეყანაში კერძო დაზღვევა შეიძლება იქცეს აუცილებელი საპენსიო დაზღვევის ალტერნატივად ან იყოს მისი დამატება. ამგვარი ფორმა მიმზიდველია მათთვის, ვისაც არ სურს დასჯერდეს ფიქსირებულ, ზედა ზღვრის მქონე პენსიას. ამასთან, კერძო საპენსიო დაზღვევა იძლევა შესაძლებლობას მიიღოს დამატებითი სოციალური უზრუნველყოფა სავალდებულო დაზღვევის სისტემისაგან მისაღებ შესაძლო შეღავათებთან შედარებით.

ნებაყოფლობითი და კერძო საპენსიო დაზღვევა თავმოყრილია არასახელმწიფო საპენსიო ფონდებში, რომელთაგან თითოეული მუშაობს საკუთარი წესებით, გამოდის როგორც დამოუკიდებელი

იურიდიული და ფინანსური ორგანიზაცია და რომელიც პასუხს არ აგებს დამფუძნებელთა ვალდებულებებზე.

ირიბად სახელმწიფოც მონაწილეობს არასახელმწიფო საპენსიო ფონდებში იმ ასპექტით, რომ ატარებს შეღავათიან საგადასახადო პოლიტიკას მათ მიმართ. დამსაქმებელთა შენატანები საპენსიო ფონდში, როგორ წესი, მიიჩნევა როგორც წარმოების აუცილებელი ხარჯები და ამიტომ თითქმის მთლიანად თავისუფლდება გადასახადებისაგან.

განაწილებითი საპენსიო სისტემის კრიზისი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განაწილებითი (გადანაწილებითი) საპენსიო სისტემის გავრცელება პრაქტიკულად უპრობლემოდ ხორციელდებოდა. - იზრდებოდა შობადობა და დასაქმებული მოსახლეობის პროცენტული წილიც. მათ მიერ ბიუჯეტში შეტანილი გადასახადები მთავრობებს პენსიების გადახდის საშუალებას თავისუფლად აძლევდა.

მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოსახლეობის მნიშვნელოვანი მატების (baby boom) და სხვადასხვა ჯგუფების სოციალური დაცვის მექანიზმების გაძლიერების შემდეგ, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების სოციალური და ეკონომიკურ სისტემები თვისებრივად საპირისპირო გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. გამოჩნდა, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში შედარებით დემოგრაფიული ახალგაზრდობის პირობებში შექმნილი საპენსიო სისტემა სულ უფრო მეტად მოდის წინააღმდეგობაში თანამედროვე, დემოგრაფიული დაბერების პროცესთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან. მოსახლეობის დაბერებით და ეკონომიკური კრიზისებით გამოწვეული სახელმწიფო ფინანსების კლების გამო, სოციალური დაცვის სისტემები სულ უფრო მეტი ფინანსური რესურსების მობილიზების აუცილებლობის წინაშე დგებიან, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების ფინანსურ მდგრადობას და განვითარების პერსპექტივებს.

ასეთ პირობებში ბუნებრივად დგება საპენსიო სისტემების რე-

ფორმირების აუცილებლობა, რომელთაგან ერთერთია *კერძო საპენსიო ფონდების გამოცდილების გადატანა სახელმწიფო სფეროში.* დაგროვების სისტემის მოქმედების სქემა მარტივია მომუშავე მოქალაქე თვითონ აგროვებს საკუთარ პენსიას; რამდენის დაგროვებასაც მოასწრებს საპენსიო ასაკამდე, იმდენად იქნება უზრუნველყოფილი სიბერეში.

სოციალური ანარიცხები, რომლებსაც დამქირავებლები იხდიან ბიუჯეტში, წარმოადგენს საპენსიო სახსრების მობილიზაციის ძირითად წყაროს. მაგრამ მათი შემდგომი ზრდა კლავს წარმოების და დასაქმების ეკონომიურ სტიმულებს.

რეფორმირების ერთერთ გზად რჩება კერძო საპენსიო ფონდების შემდგომი განვითარება და ხელშეწყობა. ამგვარი არასახელმწიფო საპენსიო ფონდები თავდაპირველად წარმოიშვნენ ანგლო-ამერიკული საპენსიო სისტემის მქონე ქვეყნებში (ინგლისი, აშშ, კანადა), თუმცა მეოცე საუკუნის ბოლოს ისინი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდნენ. დასავლეთ ევროპაში საპენსიო უზრუნველყოფა, როგორც წესი, ტრადიციულად ეფუძნებოდა სადაზღვევო კომპანიებს[1].

არასახელმწიფო საპენსიო ფონდების სახეები

	ღია	კორპორაციული	პროფესიული
ვის შეუძლია წევრობა	ნებისმიერს	დამფუძნებლებთან შრომითი ხელშეკრულებებით დაკავშირებულებს	ასეთი ფონდის სტატუსში გაწერილი შესაბამისი საქმიანობით დაკავებულებს

არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ორი სქემა არსებობს: განსაზღვრული შენატანებით (ფიქსირებული თანხა ან ხელფასის ფიქსირებული წილი) და განსაზღვრული გასაცემლებით.

მოსახლეობის დაბერება, ასაკოვანი მოსახლეობის წილის ზრდა, დე-

1 საპენსიო ფონდი (ინგლ. *Pension fund*) - აქტივების ერთობლიობა, საპენსიო სისტემის სახსრებით შეტანილი აქტივების ერთობლიობა, სახელმწიფო ან არასახელმწიფო მართვისათვის და მოქალაქეთა საპენსიო უფლების უზრუნველყოფისათვის. დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მსხვილ ათ საპენსიო ფონდზე მოდის 2.2 ტრილიონი აშშ დოლარის აქტივები. მათგან უმსხვილესია იაპონური „Government Pension Investment Fund", რომლის ანგარიშზე 935 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი აქტივია (იხ. დანართი 13).

მოგრაფიული სურათის შეცვლა შემცირებული შობადობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა, **სულ უფრო მეტად აყენებს საკითხს საპენსიო რესურსების მობილიზაციაში** განაწილებითი (გადანაწილებითი) პრინციპის (მუშაობა დადგენილი გადასახადებით) დაგროვებითი პრინციპით (დადგენილი შენატანებით) ჩანაცვლების, უფრო სწორად კი, თანადამკვიდრების თაობაზე.

გაეროს ექსპერტთა დასკვნით, დასავლეთ ევროპაში, აშშ-ში, კანადაში, იაპონიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში 2030 წლისათვის 65 წელს გადაცილებული ადამიანების რაოდენობა მოსახლეობის მეოთხედი იქნება. გარდა ამისა, 2011 წელს პენსიაზე გასვლა დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაბადებული ე.წ. „Baby-boomer"-ების თაობის წარმომადგენლებმა. მსოფლიოში შობადობის მაჩვენებლის პიკის მიღწევა მეოცე საუკუნის 40-60-იან წლებში იმას ნიშნავს, რომ პენსიონერთა ეს ნაკადი ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება. ამასთანავე, ისინი, ცხოვრების დონის ზრდის გამო, საშუალოდ უფრო მეტ ხანს იცხოვრებენ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, ვიდრე მათი წინა თაობები. უახლოესი 20 წლის განმავლობაში მხოლოდ აშშ-ში 1946-1965 წელს დაბადებულ პენსიონერთა რაოდენობა 79 მილიონს მიაღწევს. რომელთა "შენახვაც" მხრებზე დააწვება ახალგაზრდა და ეკონომიკურად აქტიურ თაობას.


ფაქტობრივად, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, პენსიონერთა რაოდენობა იზრდება, ხოლო იმათი რაოდენობა, ვინც მათ საპენსიო თანხებით უზრუნველყოფენ, მცირდება.

დემოგრაფიული დაბერების პროცესს კარგად ახასიათებს *პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტი*, ანუ 15-64 წლის მოსახლეობის რიცხოვნობის თანაფარდობა 65 წელზე უხნესი მოსახლეობის რიცხოვნობასთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საპენსიო ასაკის ყოველ პირზე რა რაოდენობის შრომისუნარიანი ასაკის პირი მოდის. საპენსიო სისტემის განაწილებითი სქემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა თანაფარდობის გაუმჯობესება პენსიონერებსა და დასაქმებულთა

რაოდენობას შორის, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ექსპერტთა გათვლებით, დღეს მსოფლიოში ერთ პენსიონერზე მოდის 10 შრომისუნარიანი ადამიანი, 2050 წლისათვის კი ერთ პენსიონერზე მხოლოდ 4 შრომისუნარიანი ადამიანი მოვა.

გაეროს მონაცემებით, ამ კოეფიციენტის დინამიკა საუკუნის მანძილზე (1950-2050 წწ.) შემდეგნაირი იქნება:

გრაფიკი 10



როგორც მოტანილი გრაფიკიდან ჩანს, მოსახლეობის დაბერების კვალობაზე აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა მცირდება მსოფლიოს მასშტაბით იგი შემცირდა 1950 წლის 12-დან 2007 წლისთვის 9-მდე. 2050 წლისთვის იგი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად შემცირდება და დაახლოებით 4 იქნება.


უნდა აღინიშნოს, რომ უკვე დღეისათვის ეკონომიკურად ყველაზე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში - OECD-ში - ყოველ ერთ პენსიონერზე მოდის მხოლოდ სამი შრომისუნარიან ასაკში მყოფი, რაც სამჯერ უფრო დაბალი მაჩვენებელია საშუალო მსოფლიო დონესთან შედარებით. ეს განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს საფრანგეთის მაგალითზე. - თუ დღეს საფრანგეთში 100 პენსიონერზე მოდის 182 მუშაკი, 2030 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა შემ-

ცირდება 150-მდე, ხოლო 2050 წლისათვის - 120-მდე.

ანალოგიურ ტენდენციებს აქვს ადგილი საქართველოშიც. თუ 1897 წელს ყოველ 100 ხანდაზმულ ადამიანზე (64 წელზე უხნესი მოსახლეობა) საქართველოში მოდიოდა 1586 შრომისუნარიანი ადამიანი (15-64-წლიანები), 2010 წლისთვის ეს მაჩვენებელი დაეცა 502 ადამიანამდე. იგივე ინდიკატორი, გაანგარიშებული 15-59 წლიანების 60 წელზე უხნეს მოსახლეობასთან თანაფარდობით, იმავე პერიოდში შემცირდა 1217-დან 346-მდე (იხ. გრაფიკი 10).

გრაფიკი 11

საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის თანაფარდობა ხანდაზმულ მოსახლეობასთან 1897-2011 წლებში



სწორედ აღნიშნული გარემოება უნდა მივიჩნიოთ იმ რთული პრობლემის ძირითად მიზეზად, რასაც ასაკოვანი ადამიანებისათვის *ღირსეული პენსიის* ოდენობა ჰქვია.


პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტის შემცირებას უდიდესი გავლენა აქვს სოციალური უზრუნველყოფის, კერძოდ, საპენსიო სისტემისათვის, როდესაც პენსიების გაცემა ხორციელდება დასაქმებულთა დაბეგვრიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები-

დან. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ *პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტი* სისტემატურად კლებულობს, სიცოცხლის საშუალო ასაკი კი მატულობს, პენსიის თანაფარდობა საშუალო ხელფასთან მაღალია და მოითხოვს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სულ უფრო მზარდ ნაწილს.[1] ამის გამო საპენსიო სისტემა, რომელიც მხოლოდ გადანაწილებით პრინციპებს ეფუძნება, ვერ იქნება ეფექტური.

უკვე მოტანილი პროგნოზის თანახმად, 2050 წელს მსოფლიოში 65 წლისა და ამ ასაკს გადაცილებული ადამიანების რაოდენობა ახლანდელი 7,6%-დან 16,2%-მდე გაიზრდება და თუ მთავრობები არ შეცვლიან მიმდინარე საპენსიო და სოციალურ პროგრამებს, მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებული ხარჯები სახელმწიფო ვალს მნიშვნელოვნად გაზრდის. ევროკავშირში მოსახლეობის დაბერების გამო ასაკობრივ პრობლემებთან დაკავშირებული ხარჯები (პენსიები, ჯანდაცვის ხარჯები) გაიზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის 23.1%-დან 2007 წელს 27.8%-მდე 2060 წლისათვის (იხ. ქვემორე გრაფიკი).

გრაფიკი 12

მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებული ხარჯების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან ევროკავშირში 2007- და 2060 წლებში (პროცენტი)



რა შეიძლება იყოს გამოსავალი ამ რთული ვითარებიდან?

1 ევროკავშირში პენსიის თანაფარდობა ხელფასთან შეადგენს 58.2 პროცენტს. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იტალიაშია - 89%. საფრანგეთში, შესაბამისად, 60%-ია, გერმანიაში - 53%. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჩეხეთშია 35.3%. ხანდაზმული ადამიანი, მაგალითად, გერმანიაში იღებს პენსიას 1000-1500 ევროს ოდენობით. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში პენსიებზე იხარჯება მშპ-ის 9 პროცენტი, მათ შორის ავსტრიაში 15%, იტალიაში - 14%, საფრანგეთში - 13%, აშშ-ში - 6.5%, იაპონიაში - 5%, კანადაში - 4.5%.

რა შეიძლება იყოს გამოსავალი ამ რთული ვითარებიდან?

არსებობს საპენსიო სისტემის რეფორმირების რამდენიმე სქემა, რომელთა პირობითი კლასიფიკაცია მოგვყავს ქვემოთ:

საპენსიო რეფორმების კლასიფიკაცია რეფორმების ხასიათის მიხედვით

	საკლასიფიკაციო ნიშანი	ძირითადი შინაარსი
1	პარამეტრული რეფორმა	საპენსიო სისტემების მახასიათებელი შიდასისტემური ცვლილებები
2	სისტემური რეფორმები	სოციალური უზრუნველყოფის მოდელების შეცვლა – სოციალური უზრუნველყოფიდან სოციალურ ან კერძო დაზღვევაზე გადასვლა
3	მაკროეკონომიკური ტრანსფორმაცია	სამუშაო ძალის დაქირავების პირობების შეცვლა
4	ინსტიტუციური ცვლილებები	საპენსიო ინსტიტუტების სტრუქტურის და მოდელების ცვლილება.

ამასთან, საპენსიო სისტემის მოდერნიზაციის ყველა შესაძლო ვარიანტი საპენსიო რესურსების ფორმირების შემდგომი ოპტიმიზაციის კუთხით დაიყვანება ორ ალტერნატიულ რეგულატორზე:

1. საპენსიო სისტემის შემოსავლების ზრდა;
2. საპენსიო სისტემის ხარჯების შემცირება.

ზრდადი საპენსიო რესურსების დაფარვა ბიუჯეტიდან თუ სადაზღვევო სახსრებიდან გულისხმობს გადასახადებისა და საპენსიო შენატანების ზრდას;

პენსიების გაცემის პირობების წესის გამკაცრება გულისხმობს მის მიმღებთა წრის შეზღუდვას, აუცილებელი მინიმალური სადაზღვევო (შრომითი) სტაჟის სიდიდე და პენსიაზე გასვლის ასაკის გადიდებას[1], რაც საბოლოო ჯამში ემსახურება შესაბამისი ხარჯების შემცირებას.

1 მაგალითად, აშშ-ში დასაქმებულთა და პენსიონერთა რიცხოვნობის დინამიკის გათვალისწინებით, დამქირავებლისა და დაქირავებულის კომბინირებული საგადასახადო განაკვეთი ამჟამინდელი 12.4%-დან უნდა გაიზარდოს 20%-მდე, ან, მის ალტერნატივად, საპენსიო თანხის მოცულობა უნდა შემცირდეს ერთი მესამედით. - იხ.: როუზენი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, თბილისი, 2006, თავი 9, გვ. 17.

ამ ასპექტით მხედველობაშია მისაღები აგრეთვე პრივილეგიების მინიჭების წესის გამკაცრება განსაკუთრებული დამსახურებისა და საქმიანობის განსაკუთრებული ხასიათის გამო დამატებითი პენსიის ან პენსიაზე ვადაზე ადრე გასვლის შესახებ.

გადასახადების ზრდა უაღრესად არაპოპულარული ნაბიჯია და მან, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, არ უნდა მოკლას წარმოების, ბიზნესის, სამეწარმეო განწყობილების სტიმულები. ამან შეიძლება გაზარდოს სტიმულები ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდისკენ, რაც უაღრესად არასასურველი იქნებოდა სახელმწიფოს მდგრადობისა და განვითარების დინამიზმისათვის. ამასთან, საპენსიო შენატანების ცვლილება შესაბამის ფონდებში დასაქმებულთა და არა უკვე პენსიონერთა ნებაზეა დამოკიდებული.

პენსიონერები სიღარიბისადმი ისედაც ყველაზე მოწყვლადი სოციალური ჯგუფია; მათ შემოსავლებს ისედაც სისტემატურად ამცირებს ინფლაცია, ამიტომ პენსიის მსყიდველობითი უნარიანობის დაცემის პარალელურად მათი აბსოლუტური შემცირება არაჰუმანური და არასამართლიანი ნაბიჯი იქნებოდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ კონტექსტში თითქმის ყველაზე „პერსპექტიულ“ ნაბიჯად რჩება *საპენსიო ასაკის ზრდა*, რასაც სულ უფრო ფართოდ მიმართავენ ქვეყნები, სადაც ყველაზე ძალუმად იგრძნობა მოსახლეობის დაბერება.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და დანიაში საპენსიო ასაკის ზრდას 67-დან 68 წლამდე აპირებენ (2020 წლისთვის), ნიდერლანდებში, შესაბამისად 66 წლამდე, ესპანეთში 65-დან 67-მდე, საფრანგეთში – 60-დან 62 წლამდე (2018 წლისთვის) და პერსპექტივაში – 65 წლამდე საპენსიო შენატანების პარალელური გადიდებით.

განსაკუთრებით რთულად იდგა საკითხი საბერძნეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შეეძლო პენსიაზე გასვლა 58 წლიდან 37-წლიანი შრომითი სტაჟის შემთხვევაში. დეფოლტის საფრთხის წინაშე მდგარ საბერძნეთში იძულებულნი იყვნენ საპენსიო თამასა გაეზარდათ 60-დან 63 წლამდე 2010 წლისათვის,

თანაც 40-წლიანი შრომითი სტაჟის შემთხვევაში[1].

იტალიელებმაც ასევე აიღეს ვალდებულება,რომ 2050 წლისთვის საპენსიო ასაკი მათთვის 68 წლიდან დადგება.

გერმანიაში მიღებულია გადაწყვეტილება საპენსიო ასაკის 67 წლამდე გაზრდის თაობაზე და ეს პროცესი თანდათანობით განხორციელდება 2012-2030 წლებში. და ეს ზღვარი ნამდვილად არ არის.[2]

პოსტსაბჭოთა სივრცეში ასევე იზრდება საპენსიო ასაკიც, თუმცა განსხვავება მის ხანგრძლივობაშია. – თუ საქართველოში იგი განხორციელდა მყისიერად, აზერბაიჯანში, უკრაინაში და რუსეთში გათვალისწინებულია მისი დროში გაწელვა[3].

მოსახლეობის დაბერების გამო ოცდამეერთე საუკუნის 20-30-იანი

---


1 ევროკავშირში მოქმედებს საკმაოდ მაღალი შკალა შრომითი საქმიანობის სტაჟისათვის შრომითი პენსიის სრული მოცულობით მისაღებად. ასე მაგალითად, ბელგიაში იგი შეადგენს 45 წელს - მამაკაცებისა და 40 წელს - ქალებისათვის, დანიაში, და იტალიაში 40-40 წელს ორივე სქესის პირთათვის, საფრანგეთში 37.5 წელს, შვეციასა და ინგლისში (2010 წლიდან) 30 წელს. დიდ ბრიტანეთში, მაგალითად სრული საბაზო პენსიის მისაღებად საჭიროა 30 წლიანი სტაჟი (თანაბრად ქალებისა და კაცებისათვის). ამასთან, ამ დონემდე ყოველ ნაკლულ წელზე საბაზო პენსია მცირდება 1/30-ით. მინიმალური საბაზო პენსიის მისაღებად, რომელიც სრული საბაზო პენსიის მეოთხედია, 10-11 წლიანი შრომითი სტაჟია საჭირო. ბევრ ქვეყანაში მოსალოდნელია მისი შემდგომი ზრდა, მაგალითად, უკვე ნახსენებ საბერძნეთში სრული პენსიის მისაღებად აუცილებელი სტაჟის ხანგრძლივობა იზრდება 35-დან 40 წლამდე.

2 განვითარებულ ქვეყნებში, პირველ რიგში აშშ-სა და გერმანიაში, განიხილება საპენსიო ასაკის შემდგომი ზრდის საკითხი. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის, მოსახლეობის დაბერების, ხანდაზმული მოსახლეობის წილის პერმანენტული მატების გათვალისწინებით ექსპერტები ვარაუდობენ საპენსიო ასაკის გაზრდას 2060 წლისთვის როგორც კაცების, ისე ქალებისათვის, 70 წლამდე. ამასთან, ამის გაკეთებას გერმანიაში უკვე უახლოეს წლებში აპირებენ. სხვა გათვლებით, 2060 წლისთვის საპენსიო ასაკმა შეიძლება გადაიწიოს 80 წლამდე, ხოლო ასაკობრივმა ზღვარმა 120 წლამდე.

3 უკრაინაში 2011 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო საპენსიო რეფორმა, რომლის მიხედვითაც უახლოესი ათი წლის განმავლობაში ყოველწლიურად საპენსიო ასაკი გაიზრდება ექვსი თვით. ანუ ამ პერიოდის ბოლოს - ხუთი წლით. ცვლილებები შეეხება მხოლოდ ქალებს, რომლებისთვისაც ამჟამად ასაკით პენსიის ასაკი შეადგენს 55 წელს. ამის გარდა, მინიმალური შრომითი სტაჟი გაიზრდება ქალებისთვის 20-დან 30 წლამდე, ხოლო მამაკაცებისთვის 25-დან 35 წლამდე. ანალოგიური ნაბიჯის გადადგმას გეგმავს რუსეთიც, თუმცა 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.- იხ.: „УТРО.РУ", 1.10.2011.

წლებისათვის ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში საპენსიო ასაკი, ფაქტობრივად, დაუბრუნდება მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებულ დონეს და შემდგომში, 2060 წლისათვის, საპროგნოზო მონაცემებით, მნიშვნელოვნად გადააჭარბებს მას.

გრაფიკი 13



განვითარებული ქვეყნები, სადაც მოსახლეობის დაბერების პრობლემები და მათი სოციალური უზრუნველყოფის საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია, კარგად გრძნობენ, რომ **საპენსიო სისტემა ამჟამინდელი ფორმით - ნელი მოქმედების ნაღმია.** თუ ახლავე არ გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები, 20-30 წლის შემდეგ ევროპას მოიცავს სოციალური აფეთქებები და „საპენსიო პოპულიზმის" ტალღა (წინასაარჩევნო პერიოდებში პენსიებით პოლიტიკური მანიპულირების მცდელობა). მეორეს მხრივ, სოციალური დაცულობის მაღალი ხარისხის მქონე ქვეყნების პოლიტიკურად ყველაზე ეგზალტირებულ ნაწილს უთხრა, რომ მათ *უნდა დათმონ ამა თუ იმ ზომით თავიანთი სოციალური მონაპოვრები, მკვეთრად შეიმცირონ პენსიაზე ყოფნის წელთა რაოდენობა* ეს ნებისმიერი მთავრობისათვის თითქმის პოლიტიკური თვითმკვლელობის, არჩევნებში ხმების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვის და დამარცხების ტოლფასია. ამიტომაცაა, რომ ხდება საპენსიო ასაკის ზრდის ვადებში გაწელვა, დაანონსება და საზოგადოებრივი აზრის შემზადება აღნიშნული შინაარსის გადაწყვეტილებების მისაღებად.

მოსახლეობის დაბერების, პენსიონერთა მზარდი წილისა და ამ კატეგორიის მოსახლეობის სოციალური აქტიურობის გათვალისწინებით საპენსიო ასაკის მოსახლეობის სოციალური დაცულობის პრობლემა ნებისმიერი თანამედროვე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს.

თანამედროვე სახელმწიფოები დილემის წინაშე დგანან - როგორც წესი, *პენსიონერები აქტიური ამომრჩევლები არიან* და ხშირად მათი ხმები გადამწყვეტია გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად. ხშირად პენსიონერები არჩევანს აკეთებენ მხოლოდ იმ საპენსიო დანამატებისა და სოციალური შეღავათების შესახებ დაპირებების მიღების შემდეგ, რასაც ისინი ამა თუ იმ კანდიდატისაგან იღებენ. პოლიტიკოსთა ნაბიჯები კი ასეთ შემთხვევაში არა ეკონომიკურ სტაბილურობასა და წინსვლას ემსახურება, არამედ მხოლოდ პოლიტიკური გათვლებია და ამომრჩეველთა მაქსიმალურად მეტი ხმის მიღებას ისახავს მიზნად, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე. ამის გამო მსოფლიოში უკვე ისმის ექსტრემისტული მოწოდებები იმის შესახებ, რომ პენსიონერებს საერთოდ აეკრძალოთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება და ხმის მიცემა მხოლოდ მოსახლეობის დასაქმებული ნაწილისთვის იყოს შესაძლებელი. ფაქტობრივად, ექსპერტები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ მოქმედი სოციალური სამართლიანობის მოდელი გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის თანამედროვე დემოკრატიის პრინციპებთან და ამ მიმართულებით „სტატუს-კვოს აღსადგენად" აუცილებელია როგორც საპენსიო მოდელის რეფორმირება, ისე სერიოზული ინსტიტუციური ცვლილებები.

ფაქტობრივად, ვითარებამ უკვე მიაღწია იმ ზღვარს, როდესაც პოლიტიკური ინტერესებისათვის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შეწირვა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. საფრანგეთის მთავრობამ, 2010 წელს, მასობრივი გაფიცვების მიუხედავად, მაინც მიიღო *კანონი საპენსიო ასაკის გაზრდასთან დაკავშირებით.* რადგან ხელისუფლების განცხადებით,

მოსახლეობის დაბერებისა და სხვა დემოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, საფრანგეთის ბიუჯეტს ხალხისთვის პენსიების დიდი პერიოდის განმავლობაში გადახდის შესაძლებლობა აღარ აქვს[1].

ამავე დროს, ევროკავშირში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს შეხედულება, რომ *ერთიანი საგალუტო სივრცის მქონე ქვეყნებს, ერთიანი საპენსიო ზღვარი და ერთნაირი სიდიდის შეებულება უნდა ჰქონდეთ.* აღნიშნული იდეის გამხმოვანებელი გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელია.[2]

ზოგადად, საპენსიო ზღვრის სიდიდე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ისეთ „პროზაულ" გარემოებაზე, როგორიცაა *სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა.* - რაც უფრო მაღალია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, მით უფრო მაღალია პენსიაზე გასვლის ასაკიც. ამჟამად, სხვაობა საპენსიო ასაკსა და დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელ საშუალო ხანგრძლივობას შორის, როგორც ქვემოთ მოტანილ გრაფიკზეა ნაჩვენები, მერყეობს 4.5 წლიდან (ბრაზილია) 21.3 წლამდე (საფრანგეთი). აღნიშნული სხვაობა, მაგალითად, საფრანგეთში მოპოვებულია ათწლეულობის განმავლობაში მშრომელი მასების შეუპოვარი ბრძოლით, რევოლუციებით და მაღალორგანიზებული პროფკავშირული მოძრაობით. ამ მხრივ ბრაზილიის წარმატებანი შედარებით მოკრძალებულია. ამის გამო პენსიაზე გასვლიდან გარდაცვალებამდე დრო ბრაზილიაში საფრანგეთთან შედარებით

1 საფრანგეთში ხელისუფლების განზრახვას 60-დან 62-წლამდე გაეზარდათ საპენსიო ასაკი, მოჰყვა ახალგაზრდობის მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, რომელმაც ჩათვალა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელება სწორედ მათ ინტერესებს ურტყამდა, რადგანაც აღარ უტოვებდა პენსიაზე გასულების სამუშაო ადგილების დაკავების შანსს.

2 გერმანიის მთავრობის მეთაურის უკმაყოფილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფო ვალის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში, როგორებიცაა საბერძნეთი და პორტუგალია, ადამიანები პენსიაზე გადიან გაცილებით ადრე, ვიდრე გერმანიაში. მან აგრეთვე აღნიშნა თავის ერთერთ, ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის ფედერალურ მხარეში 2011 წლის 18 მაისს გამოსვლაში კატეგორიულად გაუსვა ხაზი, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთი და იგივე ვალუტა, როდესაც ერთნი ძალიან დიდ ხანს არიან შეებულებაში, მეორენი კი - არა (გერმანიაში მინიმალური შეებულების ხანგრძლივობა 20 სამუშაო დღეა).

4.7-ჯერ ნაკლებია (საქართველოში, შესაბამისად, 1.8-ჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე საფრანგეთში). ქვემოთ მოტანილ გრაფიკებზე ჩანს სხვაობა სიცოცხლის მოსალოდნელ საშუალო ხანგრძლივობასა და საშუალო საპენსიო ასაკს შორის, აგრეთვე ამ სხვაობის თანაფარდობა სიცოცხლის მოსალოდნელ საშუალო ხანგრძლივობასთან ცალკეული ქვეყნების მიხედვით.[1]


საკმაოდ მაღალი ალბათობით შეიძლება დავასკვნათ, რომ უახლოესი ათწლეულებში მსოფლიოში გლობალური დათბობის პრობლემების დაძლევის, ენერგიისა და სურსათის წყაროების მოძიების, ქვეყნების მდგრადი განვითარების პრობლემებზე სულ უფრო მზარდ ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობის დაბერებისა და ასაკოვანი ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები. ასეთ პირობებში სულ უფრო მეტად იქნება გამოყენებული საპენსიო რეგულირების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა საპენსიო ასაკის ნელი, „ნარნარი" ზრდა, ცალკეული სახეობების პენსიების შემცირება, სადაზღვევო შენატანებისა და სადაზღვევო პერიოდის მასშტაბების ზრდა, სადაზღვევო და სოციალური დახმარების ინსტიტუტების გამიჯვნა, პენსიებზე ვადამდელი გასვლის პრაქტიკის შეზღუდვა, კერძო საპენსიო ფონდების შექმნის სტიმულირება და სხვ.

---

1 შედარება *დაბადებისას სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელ ხანგრძლივობასთან* მთლად კორექტული არ უნდა იყოს, აჯობებდა შედარება განხორციელებულიყო პენსიაზე გასვლის ასაკში მყოფთა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობასთან, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც წესი, 65-წლიანების სასიცოცხლო ციკლი (სიცოცხლის მოსალოდნელი ფაქტობრივი ხანგრძლივობა) აღემატება შესაბამის წელს დაბადებულთა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას. თუმცა შესაბამისი მონაცემების არქონის გამო შევჩერდით შემოთავაზებულ ვარიანტზე. მაგალითად, ევროკავშირის მასშტაბით ეს სხვაობა (სხვაობა დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობასა და პენსიაზე გასულთა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის) შეადგენს: ქალებში - 3.3 წელს (შესაბამისად, 82.4 წელი და 85.7 წელი), მამაკაცებში კი 5.6 წელს (შესაბამისად, 76.4 წელი და 82.2 წელი). იხ.: Latest figures on th demographic challenges in the EU. – Eurostat Newsrelease. 50/2011, 1 April 2011. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გააჩნიათ საფრანგეთში, სადაც პენსიაზე გასვლის შემდეგ ქალები 28.2, ხოლო მამაკაცები – 24.5 წელი ცხოვრობენ.


გრაფიკი 14

სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა და საპენსიო ასაკი ცალკეული ქვეყნების მიხედვით



გრაფიკი 15

სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობასა და საპენსიო ასაკს შორის სხვაობის აბსოლუტური და შეფარდებითი მონაცემები მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების მიხედვით



§2. კერძო საპენსიო სისტემის უპირატესობები და საფრთხეები (ჩილესა და აშშ მაგალითზე)

ა) ჩილე

ჩილე ფაქტობრივად პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც თავისი საპენსიო სისტემის რადიკალური რეფორმირება განახორციელა საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის პრივატიზაციის[1], განაწილებითი სისტემის ინდივიდუალურ–დაგროვებითი სისტემით ჩანაცვლების გზით (1981 წ.). მისი ამგვარი გამოცდილება შემდგომში მრავალმა ქვეყანამ გადაიღო, მათ შორის აშშ-მა, გერმანიამ, პოლონეთმა, უნგრეთმა, ყაზახეთმა და ა.შ. სულ დაახლოებით 30-მდე ქვეყანამ.

რა მიზნები და ამოცანები ამოძრავებდათ საპენსიო რეფორმის გამტარებლებს?

პირველ რიგში, ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ კერძო საპენსიო ფონდებიდან ხალხი უფრო მაღალ პენსიებს მიიღებდა;

მეორეც, ვარაუდობდნენ, რომ სისტემის მოცვა გაცილებით მაღალი იქნებოდა მანამდე სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის საფარქვეშ არსებულზე, რომელსაც *საყოველთაო* ეწოდებოდა, რჩებოდა მუშაკთა გარკვეული კატეგორიები, რომლებიც არ იღებდნენ არავითარ პენსიას;

მესამეც, რეფორმატორები ფიქრობდნენ, რომ ფონდების შესანახი ხარჯები არ გაიზრდებოდა. ჰქონდათ მათ აგრეთვე ერთი ამაღლებული მიზანი *საპენსიო რეფორმის განხორციელებით შეეცვალათ ჩილელთა მენტალობა*, შეეჩვიათ ისინი უფრო მეტი დამოუკიდებლობისა და სამეწარმეო სულისკვეთებისათვის, მეტი პასუხისმგებლობის აღებისა და სახელმწიფოსაგან ნაკლები მოლოდინის გამომუშავებისათვის. მოკლედ, მიეჩვიათ ადამიანები საკუ-

1 ტერმინი პრივატიზაცია მოიცავს სქემათა დიდ რაოდენობას, თითოეულ მათგანს ერთი საერთო ნიშან-თვისება აქვს: დამქირავებელიცა და დაქირავებულიც იხდის სავალდებულო გადასახადს, რომელიც აკუმულირდება ინდივიდუალურ ანგარიშზე. მომუშავენი თანხის სხვადასხვა ფინანსურ აქტივში ინვესტირებას ახორციელებენ. სამუშაო ციკლის დასასრულს ინდივიდი საპენსიო პერიოდის განმავლობაში ანგარიშზე დაგროვილი თანხებით საკუთარ თავს თავადვე უზრუნველყოფს.

თარი კეთილდღეობის მისაღწევად ორიენტაცია აეღოთ ბაზარზე და არა სახელმწიფო უზრუნველყოფაზე.

აღნიშნული რეფორმების საფუძველზე, ჩილეში თითოეულ დასაქმებულ ადამიანს მიეცა უფლება და დაეკისრა ვალდებულება, თავად ეზრუნა საკუთარ მომავალზე. **საგადასახადო შემოსავლებიდან გასაცემი სახელმწიფო პენსიების ადგილი დაიკავა ინდივიდუალურმა საპენსიო ანაბრებმა, რომელთა ინვესტირება შემდეგ ფასიან ქაღალდებში ხდებოდა.** მომუშავე მოქალაქეებს მიეცათ ახალ სისტემაზე ნებაყოფლობით გადასვლის საშუალება, ხოლო ახალგაზრდა ჩილელები, რომელთაც ახალდაწყებული ჰქონდათ მუშაობა, ავტომატურად ერთვებოდნენ მასში.

1981 წელს დანერგილმა არასახელმწიფო საპენსიო სისტემამ თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი სოლიდარული სისტემა.

ამგვარი სისტემის ძირითადი ნიშნებია:

მუშაკთა აუცილებელი მონაწილეობა ერთ რომელიმე სახელმწიფო ან არასახელმწიფო საპენსიო ფონდში[1] და ხელფასის 10%-ის სავალდებულო გადარიცხვა აღნიშნულ ფონდში;

პენსიაზე გასვლის მომენტიდან პენსიის მიღების შესაძლებლობა როგორც თანდათანობით, ისე ანუიტეტის ფორმით;

ფონდის მთლიანი შემოსავლიდან დაფინანსებული გარანტირებული მინიმალური პენსია სისტემაში საკმარისი პერიოდის განმავლობაში ჩართული ინდივიდისათვის;

ინდივიდუალური დაგროვება და დაგროვება საპენსიო ფონდის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან;

---

1 ამჟამად ჩილეში მოქმედებს 6 არასახელმწიფო საპენსიო ფონდი (ცალკეულ წლებში მათი რაოდენობა 23-ს აღწევდა), რომელთა პორტფელის 40% ყალიბდება სახელმწიფო ფასიანი, ხოლო 40% - კორპორაციული ფასიანი ქაღალდებისაგან. დანარჩენი დეპოზიტურ ანაბრებზე მოდის. საპენსიო ფონდის საშუალო წლიური მომგებიანობა 12.5%-ია (იხ. Кирилл Гайдук, Дарья Слабченко Реформы пенсионных систем: Обзор наиболее важных аспектов. - Рабочий материал Исследовательского центра ИПМ. - WP/08/07). 2009 წლიდან დანერგილია აუქციონების სისტემა საპენსიო უზრუნველყოფის ბაზარზე ახალი კლიენტების მომსახურების უფლების მისაღებად, რომელშიც მონაწილეობის უფლება უცხოურ იურიდიულ პირებსაც მიენიჭათ.

საპენსიო ფონდების არასახელმწიფო მართვა;

საგადასახადო შეღავათები;

მუშაკის მიერ თავისუფალი არჩევა იმ საპენსიო ფონდისა, რომელშიც უნდა გაწევრიანება;

ერთი ფონდიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობა;

მუშაკს შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს პენსიაზე გასვლის ვადები და პირობები;

ფონდის მონაწილე პირი ყოველ ოთხ თვეში მომავალი პენსიონერი კომპანია-ადმინისტრატორისაგან ღებულობს ინფორმაციას თავისი დაგროვებითი ფონდის მდგომარეობის შესახებ;

ჩილეს არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის მონაწილეა ყველა დაქირავებული პირი, რომლებმაც შრომითი საქმიანობა 1983 წლის 12 იანვრის შემდეგ დაიწყო;

ასაკობრივი პენსიები ენიშნებათ ქალებს 60 წლის, ხოლო მამაკაცებს 65 წლის ასაკიდან. ამასთან, მათ შეუძლიათ პენსიაზე გასვლა უფრო ადრეც, თუკი მათი ინდივიდუალური დაგროვებითი სახსრები საშუალებას აძლევენ მიიღონ პენსია, რომელიც მეტია ბოლო ათი წლის განმავლობაში საშუალო ინდექსირებული შემოსავლის მოცულობაზე და იმავდროულად, სახელმწიფოს მიერ მინიმალური გარანტირებული სახელმწიფო პენსიის ოდენობაზე.

ამგვარი სისტემა ამყარებს უშუალო კავშირს მუშაკის შრომით საქმიანობასა და მის საპენსიო უზრუნველყოფას შორის.

ჩილეს სისტემის მომხიბვლელობა შემდეგში მდგომარეობს:

ხანგრძლივი პერსპექტივით, საპენსიო ფონდების ვალდებულებებს უკუგების გაცილებით უფრო მაღალი განაკვეთი გააჩნიათ სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის განაკვეთთან შედარებით.

საპენსიო ანარიცხების ინვესტირება კერძო ბაზარზე საშუალებას იძლევა, უკუგების განაკვეთი გაიზარდოს და მომუშავეთა გადასახადების გაზრდის გარეშე პენსიონერს უფრო მაღალი პენსია მიეცეს.

პრივატიზაციის მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ ოჯახური მდგომარეობა აღარ იქნება ინდივიდის საპენსიო თანხის მთა-

ვარი განმსაზღვრელი. თუ წყვილი, რომელთაგან მხოლოდ ერთი მუშაობს და აგრეთვე ის წყვილი, რომელთაგან ორივე მუშაობს, თანაბარი მოცულობის თანხას შეიტანს ფონდში, თანაბარ საპენსიო დახმარებას მიიღებს. კმაყოფაზე მყოფი უმუშევარი მეუღლეების პრობლემა შემდეგნაირად წყდება: ხდება თითოეული მეუღლის დაკრედიტება იმ თანხით, რომელიც წყვილის მიერ ფონდში შეტანილი მთლიანი თანხის ნახევარს უდრის. ამ გზით, განქორწინების შემთხვევაშიც კი, თითოეულ მეუღლეს საკუთარი ბალანსი ექნება, რომლის საფუძველზე საპენსიო თანხა გამოითვლება.

მსგავსი სქემის ერთ-ერთი უპირატესობა საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული რისკების შემცირებაა. საპენსიო სახსრები არ იქნება განთავსებული მთლიანად განაწილებით საპენსიო სისტემაში, რაც შექმნის იმის წინაპირობას, რომ მოსახლეობის საპენსიო პორტფელი აღარ იყოს პოლიტიკური ან დემოგრაფიული რისკების მძევალი.

ამავე დროს, ჩილეს საპენსიო რეფორმაც არაა იდეალური და გზადაგზა მასაც სჭირდება გარკვეული სრულყოფისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები. კერძოდ, 2008 წლის 1 ივლისიდან ჩილეში დაგროვებითთან ერთად ძალაში შევიდა სახელმწიფო სოლიდარული პენსიების სისტემა. იგი მოიცავს სოლიდარულ საბაზო პენსიებს ასაკისა და ინვალიდობის გამო და სოლიდარულ დანამატებს დაგროვებით პენსიებზე, თუ ამ უკანასკნელის სიდიდე დადგენილ ნორმაზე ნაკლები აღმოჩნდა.

ამასთან ერთად, დარგის სპეციალისტები მიუთითებენ ჩილეს საპენსიო რეფორმის ზოგიერთ სუსტ მხარეზეც[1].

1 მართალია, საპენსიო ფონდებში აკუმულირებული თანხა სიდიდით ჩილეს მშპ-ის 65%-ს აღწევდა, თუმცა მან მაინც ვერ უზრუნველყო კეთილდღეობის ის დონე, რასაც ის თავდაპირველად პპირდებოდა პენსიონერებს. - ნაცვლად შეპირებული ბოლო 10 წლის ხელფასის 70%-ს სიდიდის ექვივალენტური პენსიისა, პენსიაზე გასულები ღებულობდნენ მხოლოდ 39%-ს, ხოლო დაგროვებითი პენსია არ აღემატება გარანტირებულ მინიმალურ პენსიას იმ 65 წელს მიღწეული მოქალაქეებისათვის, რომელთა შრომითი სტაჟი 10 წელზე მეტი ჰქონდათ. საპენსიო სისტემის დეფიციტმა 1981-2004 წლებში შეადგინა 5.7%. აღნიშნული სისტემით 2006 წელს მოცული იყო დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ 60% და 2020 წლისთვის იგი 50 პროცენტამდე შემცირდება. იხ.: Накопительная пенсионная система Чили провалилась – http://www.prostobank.ua/finansovyy_gid/pensiya/

ზოგადად, ეკონომიკას სწრაფი განვითარებისათვის სჭირდება ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი და რაც შეიძლება ნაკლები დიქტატი. საპენსიო სისტემების სრული პრივატიზაცია შედარებით „წარმატებული“ შედარებით ნაკლებად დემოკრატიულ რეჟიმებშია. საპენსიო სისტემის რეფორმების დაწყებისათვის (- 1981 წელს) ჩილეს მმართველობითი რეჟიმი აშკარად დიქტატორული იყო. ამიტომ, *სრული პრივატიზაცია ეს განსაკუთრებული* და არცთუ საუკეთესო ნაბიჯია. თუკი არსებობს არჩევანის საშუალება, საუკეთესო გამოსავალი საპენსიო სექტორის არა სრული, არამედ ნაწილობრივი პრივატიზაციაა. ცალმხრივი უპირატესობა არ უნდა ჰქონდეთ დაგროვებითი ან სოლიდარობით პრინციპებზე დაფუძნებულ საპენსიო სისტემებს. საჭიროა მათი ეფექტური კომბინაცია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

ბ) აშშ

ამერიკის დიდი დეპრესიის (1929-1933 წწ.) დადგომის შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებამ დაიწყო სოციალური პროგრამების განხორციელება. თუკი აღნიშნულ კრიზისამდე მისი პოლიტიკის არსს კარგად გამოხატავდა თავის დროზე ამერიკის პრეზიდენტის კლივლენდის[1] ნათქვამი, რომ *„ხალხი ვალდებულია ენთუზიაზმით დაუჭიროს მხარი თავის მთავრობას, მაგრამ ამ უკანასკნელის ფუნქციას სულაც არ წარმოადგენს ხალხის რჩენა“*. აშშ-ში „დიდი

---

novosti/nakopitelnaya_pensionnaya_sistema_chili_provalilas. ამის გარდა, მართალია, რეფორმებმა გაზარდეს ეკონომიკაში დაგროვებისა და ინვესტიციების ნორმები, მაგრამ საპენსიო ფონდები შეზღუდულნი არიან საინვესტიციო სფეროებით, რის გამოც საპენსიო ფონდების საინვესტიციო რესურსები ეკონომიკის ბევრ სფეროში ვერ მოხვდა. ბოლო პერიოდის გამოკვლევებმა კი აჩვენა, რომ მათი პენსიები, ვინც სახელმწიფო საპენსიო სისტემაში დარჩა, გაცილებით მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე მათი, ვინც კერძო საპენსიო ფონდებში გადავიდა. მაღალია ხარჯები კერძო საპენსიო ფონდების შენახვაზე, მართვაზე, საქმიანობასა და ტრანზაქციებზე სახელმწიფო ფონდებთან შედარებით. აღნიშნულ გარემოებათა გამო კერძო სისტემაში გადასულმა ბევრმა ადამიანმა თავი მოტყუებულად ჩათვალა, მიიჩნია, რომ მოტყუდა კერძო სექტორში გადასვლით. იხ.: Ольга Власова. Оскомина чилийского чуда. «Эксперт» №31 (477) /22 авг 2005.

1 სტივენ გროვერ კლივლენდი (1837-1908) აშშ 22/24 პრეზიდენტი, 1885-1889 და 1893-1897 წლებში.

დეპრესიის“ შემდეგ სახელმწიფომ ბევრი რამ გაკეთა დასაქმებულთა და უმუშევართა, შემოსავლის გარეშე დარჩენილთა სოციალური დაცვის სისტემის ფორმირებისათვის. 1935 წელს მიღებული სოციალური დაზღვევის პროგრამა (Social Seciurity) უზრუნველყოფდა პენსიონერთა რეგულარულ ყოველთვიურ შემოსავალს, უმუშევრობის დაზღვევას და შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო, აგრეთვე საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებას უქონელთა დახმარებას და დახმარებას ბავშვებისათვის.

აშშ-ში მთავარი სახელმწიფო საპენსიო პროგრამა განაწილებითი ხასიათისაა და პირველ რიგში ატარებს სოციალურ ფუნქციას. ამერიკის სხვა საპენსიო სისტემები აგებულნი არიან დაგროვებით პრინციპზე. **სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფა** – ოფიციალურად კი „ხანდაზმულთა, მარჩენალის გარეშე დარჩენილთა და ქმედუუნაროთა დაზღვევა“ „(Old Age, Survivors, and Disability Insurance - OASDI)” შემდეგ რეჟიმში მუშაობს:

სისტემის წევრები და მათი დამქირავებლები სამუშაო ციკლის განმავლობაში იხდიან სახელფასო გადასახადს. სახელმწიფო პენსიის მისაღებად მუშაკმა და საწარმომ საპენსიო ფონდში უნდა გადარიცხონ ხელფასის 10.52%. პენსია გაიანგარიშება მუშაკის ყველაზე მომგებიანი 35 წლის სამუშაო სტაჟის მიხედვით და იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი იმუშავა მუშაკმა საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ. პენსიაზე გასვლის შემდეგ სისტემის წევრები იღებენ დახმარებას, რომლის მოცულობა ნაწილობრივ მათ მიერ წარსულში განხორციელებულ შენატანებზეა დამოკიდებული. სახელმწიფო საპენსიო სისტემა, უზრუნველყოფს რა ინდივიდს წლიური ფიქსირებული დახმარებით პენსიაზე გასვლის მომენტიდან მთელი სიცოცხლის განმავლობაში, წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ინდივიდი მოკლე ვადაში ვერ ამოწურავს დაგროვილ თანხას (აქტივებს). საპენსიო სისტემა დახმარებას უზრუნველყოფს შრომისუუნაროთათვის, აგრეთვე მისი და პენსიონერის მეუღლისა და კმაყოფაზე მყოფი შვილებისათვის. გარდა ამისა, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა გამანაწილებელი პროგრამის ფორმითაც ფუნქციონირებს. დღეს მომუშავეთაგან ყველა დაზ-

ღვეულია სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ან სხვა სახელმწიფო საპენსიო პროგრამის ფარგლებში.

1935 წელს დაწყებული სახელმწიფო საპენსიო პროგრამა თავდაპირველად ძალიან ჰგავდა დაზღვევის კერძო სისტემას. **ყოველთვიურ პენსიას იღებდნენ დაზღვეული მომუშავეები, რომელთა წლოვანება 65 წელს აღემატებოდა.** ინდივიდი მთელი თავისი სამუშაო ციკლის განმავლობაში ხელფასის ნაწილს ინახავდა სპეციალურ ფონდში. დროთა განმავლობაში ფონდში ხდებოდა პროცენტის დამატება, პენსიაზე გასვლის დღიდან კი ინდივიდი იღებდა ფონდში დეპონირებულ ძირითად თანხასა და აკუმულირებულ პროცენტს. ასეთი სქემა *სრული დაფინანსების* სახელწოდებით იყო ცნობილი, თუმცა იგი მალევე მოიშალა. 1939 წელს სისტემამ სხვა ფორმა შეიძინა. ეს იყო *შემოსავლის მიღებისთანავე გადასახადის გადახდის სისტემა.* ამასთან, ყოველთვიური საპენსიო დახმარება დაზღვეულ მომუშავეთა არასრულწლოვანი შვილების ან მათი მეუღლეებისთვისაც დაინერგა. ამდენად, *სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამა არა მარტო დაზღვევას, არამედ ინდივიდთა შორის შემოსავლის ტრანსფერსაც ახორციელებს.* სატრანსფერო ფუნქცია დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა. კულმინაცია კი 1972 წელს უმწეოთათვის დამატებითი დახმარების უზრუნველყოფის (Supplemental Security Income - SSI) პროგრამის დანერგვა იყო (დახმარების პროგრამა, რომელიც ხანდაზმულებსა და შრომისუუნაროებს ფედერალური მინიმალური შემოსავლის გარანტიით უზრუნველყოფს).

ასაკი, როდესაც ინდივიდი ხდება უფლებამოსილი, მიიღოს სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემით განსაზღვრული საპენსიო დახმარება, **ნორმალური საპენსიო ასაკის** სახელწოდებითაა ცნობილი. *ნორმალური საპენსიო ასაკი* დამოკიდებულია ინდივიდის დაბადების წელზე. **1944-სა და 1954 წლებს შორის დაბადებული პირის ნორმალური საპენსიო ასაკი 66 წელია.** აღნიშნული მაჩვენებელი ყოველ შემდგომ წელიწადზე ორი თვით იზრდება **1960 წელსა და მის შემდგომ დაბადებული პირებისათვის კი ნორმალური საპენსიო ასაკი 67 წელია.** *მომუშავე უფლებამოსილია, დახმარება*

მიიღოს სულ მცირე 62 წლიდან, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ნორმალურ საპენსიო ასაკად 67 წელია მიჩნეული, ასეთ შემთხვევაში, ადგილი ექნება თვიური დახმარების მოცულობის პერმანენტულ შემცირებას. - 67 წლამდე დარჩენილ ყოველ თვეზე გაიცემა საპენსიო განაკვეთის მხოლოდ 5/9 ნაწილი.

ანალოგიურად, მომუშავე, რომელიც ნორმალური საპენსიო ასაკის დადგომის შემდეგაც არ მიიღებს დახმარებას, მიიღებს დახმარებას, რომელიც პერმანენტული ზრდის განაკვეთით ხასიათდება. 1943 წელსა და მის შემდგომ დაბადებული მომუშავე, რომელიც არ გადის პენსიაზე ნორმალური საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგაც კი, მიიღებს დახმარებას, რომელსაც ყოველ ვადაგადაცილებულ წელიწადზე ემატება 8%.

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის რეციპიენტთა დახმარების თანხა ნორმალური საპენსიო ასაკის მიღწევამდე 11000 აშშ დოლარი შემოსავლის ზემოთ (ეს თანხა ყოველწლიურად იცვლება, რადგან ხორციელდება მისი ინდექსაცია საშუალო ხელფასის ზრდის განაკვეთის მიხედვით) რეციპიენტის შემოსავლის ყოველ ორ დოლარზე დაახლოებით ერთი დოლარით მცირდება. აღნიშნული პირობა **შემოსავლის კრიტერიუმის** სახელწოდებითაა ცნობილი.

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხანდაზმულთა შემოსავლის შენარჩუნებაა. ხანდაზმულთა ჯგუფი შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ჯგუფად ითვლება. ამიტომ სოციალური დახმარებებისა და საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა ემსახურება მათი ამგვარი მდგომარეობის გამოსწორებას. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ხანდაზმულთა შემოსავალი უფრო სწრაფად მზარდი (დაახლოებით 1.5-ჯერ უფრო მაღალი) განაკვეთით გაიზარდა, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობის ანალოგიური მაჩვენებელი. ბოლო ათწლეულების მანძილზე გატარებულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღეს. შედეგად, მაგალითად, 2009 წლის მოსახლეობის გამოკვლევით, 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის მხოლოდ 8.9% იყო ღარიბი (65-74-წლიანებში - 8.0%), მაშინ როდესაც მთლიანი

მოსახლეობის იგივე მაჩვენებელი 14.3%-ს უდრიდა[1].

ამჟამად აშშ-ის ხანდაზმულთა მთლიანი შემოსავლის 39% სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამებიდან ყალიბდება. ხანდაზმულთა ყველაზე ღარიბი (მეხუთე) ფენის შემოსავლის 82% სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამიდანაა დაფინანსებული. კერძო საპენსიო დანაზოგებს შემოსავლების 45.1 პროცენტი უკავიათ. დანარჩენი (დაახლოებით 15%) სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის შრომითი საქმიანობიდან და საკუთრების უფლების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის.

ფართო თვალსაზრისით, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა მოსახლეობის შემოსავლებს გადაანაწილებს: მაღალი შემოსავლის მქონე ინდივიდებიდან – დაბალი შემოსავლის მქონე ინდივიდებზე, მამაკაცებიდან ქალებზე და ახალგაზრდა თაობიდან ხანდაზმულ თაობაზე.

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ორი გარემოება.

პირველი, მართალია, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემამ ხანდაზმულთა შორის ორჯერ შეამცირა სიღარიბის დონე, მან მაინც ვერ მოახერხა სიღარიბის სრული აღმოფხვრა. ხანდაზმული ქალები, განსაკუთრებით კი ქვრივები, მძიმე ეკონომიკური სიძნელეების წინაშე იმყოფებიან.

მეორე, 62 წელს გადაცილებულ ინდივიდს სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა ნაწილობრივ ან მთლიანად პენსიაზე გასვლისაკენ უბიძგებს. 1930 წელს 65 წელს გადაცილებული მამაკაცების 54% კვლავ მუშაობდა. 1950 წლისათვის დასაქმების განაკვეთი აღნიშნული ჯგუფისათვის 45,8% იყო, ხოლო 2001 წელს კი 18%-მდე დაეცა. კლების ასეთი ტენდენცია გამოწვეული

1 იხ.: U.S. Census Bureau, Current Population Survey, 2010 Annual Social and Economic Supplement. - http://www.census.gov/hhes/www/cpstables/032010/pov/new01_100_01.htm. უფრო მეტიც: 2009 წელს სიღარიბის დონე გაიზარდა როგორც ზოგადად (22.2%-ით - 11.7 პროცენტული პუნქტიდან 14.3 პროცენტულ პუნქტამდე), ისე ყველა რასისა და სოციალური ჯგუფის მიხედვით, გარდა მოხუცებისა (65 წელს გადაცილებულთა). ამ უკანასკნელთა შორის სიღარიბის დონე შემცირდა 12 პროცენტით 10.1 პროცენტული პუნქტიდან 8.9 პროცენტულ პუნქტამდე.

იყო ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: ზრდადი შემოსავალი, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ცვლილება, თანამდებობრივი განსხვავებანი.

აშშ-ში საპენსიო გადასახადების სისტემის მნიშვნელოვანი სახეცვლილება იგეგმება 2016 წლისათვის. ერთ-ერთი შესაძლო ცვლილება სისტემის პრივატიზაციაა, რომლის შემდეგ ინდივიდს თანხის ინვესტირების საშუალება მიეცემა. ასეთი გეგმები განხილვის პროცესშია. ამასთან, ზოგი ავტორი პროგნოზირებს უახლოეს წლებში დასაქმებულთა სახელფასო გადასახადების თითქმის ორჯერ უფრო მაღალ ზრდას სახელმწიფოს მიერ საპენსიო უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი სახსრების ზრდასთან შედარებით[1].

მთლიანობაში, დაგროვებითი საპენსიო სისტემების, ანუ ფაქტობრივად, კაპიტალიზებული საპენსიო ფონდების წარმატებას, როგორც ამას მრავალი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, სჭირდება მყარი ეკონომიკური ზრდა და დაბალი ინფლაცია. სტაბილური და ეფექტური ბიზნეს გარემო, დაბალანსებული შრომის ბაზარი უმუშევრობის არც თუ მაღალი დონით, ფინანსური რეგულირების ინსტრუმენტები. მისი პოზიტიური აღქმისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ეკონომიკური განათლებულობა მათ მიერ ოპტიმალური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მისაღებად.

თუ საპენსიო ფონდების ინვესტირების ფინანსური მექანიზმი დაბალი ეკონომიკური ეფექტურობითა და დაგროვებითი საპენსიო სისტემების მაღალი დანახარჯებით ხასიათდება, მაშინ აღნიშნული საპენსიო სისტემა წარუმატებლობისათვისაა განწირული.

უაღრესად ნეგატიურად მოქმედებს დაგროვებით საპენსიო სისტემებზე საფინანსო–ეკონომიკური კრიზისიც[2].

---

1 2015 წლისთვის პენსიაზე გასულთა მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სახელფასო გადასახადების მოცულობა 1980 წელს პენსიაზე გასულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 3.2-ჯერ - 27718 დოლარიდან 89311 დოლარამდე, მაშინ როდესაც იგივე კატეგორიის პირების მიხედვით სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამის თანხა გაიზრდება მხოლოდ 1.6–ჯერ 67048 დოლარიდან 108164 დოლარამდე. იხ.: როუზენი ჯ.ს., საჯარო ფინანსები, თბილისი, 2006, თავი 9, ცხრილი 9.3.

2 2008-2010 წლების მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა შეიწირა აშშ-ის, ევროპის

ამგვარი ბევრი პირობითობის გამო მათი არსებობა სულ უფრო მეტად საჭიროებს სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას. ამიტომ ქვეყნებმა, რომლებიც იყენებდნენ მას როგორც ძირითად საპენსიო ინსტიტუტს, ან მთლიანად თქვეს უარი მასზე (არგენტინა), ან შეამცირეს მისი გამოყენების მასშტაბები, შეავსეს რა ეროვნული საპენსიო სისტემები განაწილებითი საპენსიო სისტემებით, რომლის დოტაციას სახელმწიფო ახორციელებს (ჩილე, ურუგვაი, ყაზახეთი). სულ უფრო გაბატონებული ხდება მოსაზრება, მათ შორის იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ აპირებენ შესაბამისი რეფორმების განხორციელებას, რომ საპენსიო სისტემების ფორმირებისას არა თუ არ უნდა გამოირიცხოს, არამედ განმსაზღვრელი გახდეს მათი აგების მრავალვარიანტულობა.

და ლათინური ამერიკის საპენსიო ფონდების ¼-დან 2/3-მდე. – იხ.: Всеобщая конфедерация профсоюзов. Доклад: Пенсионные реформы в странах СНГ: результаты и перспективы. Итоги проведения в 2010-2011 годах в государствах содружества солидарной профсоюзной акции под девизом «За достойную пенсию». – Москва, 2011, с. 30.

თავი 3. ხანდაზმული მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა და შრომითი აქტიურობა საქართველოში

§ 1. მოხუცი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მდგომარეობა საქართველოში

საქართველოში პენსიის ცნება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში შემოვიდა. ცნობილი ქართველი ლექსიკოგრაფი დავით ჩუბინაშვილი (1814-1891) მას ასე განმარტავდა: *„პენცია (ფრანგ.) - ულუფა მამსახურების“*. ქართულ წყაროებში ის პირველად 1807 წელს გვხვდება. მასში ჩამოთვლილია იმ ჩინოვნიკთა სია, რომლთაც მეფის დანიშნული „პენცია“ ჰქონდათ. თავდაპირველად ის წარმოდგენილი იყო როგორც ჯილდო სამსახურისათვის, მაგრამ შემდეგ ის პირთა წოდებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას უფრო ემსახურებოდა. ასე გაიცემოდა პენსია მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე.

საქართველოში 1927 წლიდან ფუნქციონირებას იწყებს საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა. ეს სისტემა აგებული იყო ე.წ. *განაწილების პრინციპზე:* დასაქმებულთა მიერ გარკვეულ პერიოდში საპენსიო ანარიცხების სახით გადახდილი თანხა გამოიყენება იმავე პერიოდში პენსიების გასაცემად.


დღეისათვის **პენსია წარმოადგენს** „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს **კანონით განსაზღვრული პირობებით პირის ყოველთვიურ ფულად უზრუნველყოფას**[1].

1990-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში განვითარებული კარგად ცნობილი მოვლენების გამო, მოსახლეობის კეთილდღეობამ აბსოლუტურად ყველა ინდიკატორის, მათ შორის საპენსიო უზრუნველყოფის მიხედვით, სერიოზული დარტყმა მიიღო. პენსიის თანაფარდობა ხელფასთან, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს 40 პროცენტს აღემატებოდა, სულ რამდენიმე წელიწადში კატასტროფულად დაეცა. იმ დროიდან მომდინარეობს საქართველოსათვის, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის საბჭოთა პერიოდში და შემდგომ 1990-იანი წლების ქაოსის დროს ნამუშევარი სტაჟის საპენსიო სისტემაში ასახვის პრობლემა.

1 იხ.:საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“,მუხლი 4,„ქვეპუნქტი „ი“.

მდგომარეობის ერთგვარი გამოსწორება დაიწყო 2003 წლის შემდეგ, როდესაც პენსიების ზრდამ რამდენადმე გაუსწრო ზოგიერთი სხვა სოციალური ინდიკატორის ზრდას. **2003 წელთან შედარებით 2011 წლისთვის საშუალო პენსიის სიდიდე გაზრდილია 7.1-ჯერ.** ბოლო ექვსი წლის მანძილზე შინამეურნეობებში საპენსიო შემოსავლების ზრდა 2.2-ჯერ აღემატებოდა დანარჩენი შემოსავლების ზრდას. შედეგად, **საშუალო პენსიის თანაფარდობა საარსებო მინიმუმთან გაიზარდა 2003 წლის 1/5–დან 2011 წლის 2/3–მდე.** შედეგიც თვალში საცემია: თუ 2003 წელს ერთი თვის საშუალო პენსიით შესაძლებელი იყო 2.7 კგ საქონლის ხორცისა ან 14 კგ პურის შეძენა, 2011 წელს – უკვე 8.5 კგ ხორცის ან თითქმის 65 კგ პურის შეძენა. საშუალოდ, 2011 წელს 2003 წელთან შედარებით საშუალო პენსიის რეალური მსყიდველობითი უნარიანობა 3.2–ჯერ გაიზარდა. რეალური ზრდა გაცილებით მაღალი იქნებოდა, **რომ არა სურსათზე ფასების მნიშვნელოვანი წინსწრება ფასების საერთო ზრდასთან შედარებით.** თუ 2011 წლის დეკემბერში 2003 წლის დეკემბერთან შედარებით, ინფლაციამ საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, შეადგინა 75.0 პროცენტი, სურსათზე ფასებმა იმავე პერიოდში მოიმატა 123.5 პროცენტით, ანუ 1.7-ჯერ და მეტად ინფლაციის მაჩვენებელთან შედარებით. ამავე დროს, კვებაზე, სურსათზე უფრო მეტი ეხარჯება მათ, ვინც უფრო დაბალშემოსავლიანია, ანუ პენსიონერებს. იმავე პერიოდში ბუნებრივი აირის ფასი გაიზარდა თითქმის 4-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიისა 1.6-ჯერ. შესაბამისად, **2011 წლის დეკემბრის პენსიის მსყიდველობითი უნარიანობა 2003 წლის დეკემბრის ფასებით მხოლოდ 45 ლარის ეკვივალენტურია.**

საშუალო პენსიის მსყიდველობითი უნარიანობა 2011 წელს 2003 წელთან შედარებით (2003 = 100)



მიუხედავად ბოლო წლების თვალსაჩინო ზრდისა, მსყიდველობითი უნარიანობის მიხედვით ამჟამინდელ პენსიას ბევრი უკლია 1980-იანი წლების ბოლოს არსებულ დონემდე[1].

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის მსგავსად საქართველოშიც საპენსიო სისტემის ძირითადი ნაწილი დამყარებულია, როგორც უკვე ითქვა, *გადანაწილებით პრინციპზე, თაობათა სოლიდარობის სქემაზე*[2]. ამასთან, ამჟამად ქვეყანაში მოქმედი პენსიების გაცემის სისტემა, პენსიის მსყიდველობითი პოტენციალის გათვალისწინებით, უფრო *სოციალური დახმარების* ნიშნის მატარებელია, ვიდრე საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ურთიერთობებისა.

დღეს საქართველოში მოქმედი საპენსიო უზრუნველყოფა ვერ აკმაყოფილებს ზემოთ უკვე ასევე ნახსენებ საპენსიო სისტემის ორ ძირითად პირობას (1. სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მინიმალური უზრუნველყოფა; 2. სამართლიანობა). - იგი მინიმალურ დონე-

1 ამჟამინდელი პენსია პროცენტებში საშუალო ნეტო ხელფასთან (საშუალო დარიცხულ ხელფასს გამოკლებული საშემოსავლო გადასახადი) 1990 წლის მაჩვენებელს 2.5-ჯერ ჩამორჩება (1990 წ. 36.7%; 2011 წ. 14.7%). ამჟამინდელი საშუალო პენსია თავისი მსყიდველობითი უნარიანობით ორი ათეული წლის წინანდელი მინიმალური პენსიის დაახლოებით 45 პროცენტის ეკვივალენტურია.

2 „სახელმწიფო პენსიების შესახებ" საქართველოში კანონის პრინციპებია: ა) ადამიანის უფლებების დაცვა; ბ) კანონის წინაშე თანასწორობა; გ) საყოველთაობა; დ) მუდმივობა; ე) თაობათა შორის სოლიდარობა; ვ) პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია". – იხ.: საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ", მუხლი 3.

ზეც ვერ უზრუნველყოფს პენსიონერთა მატერიალურ მდგომარეობას, რადგანაც პენსიის ზომა ოფიციალურად დეკლარირებულ საარსებო მინიმუმს მხოლოდ 2/3-ით ფარავს, ხოლო თავად თანხის გაცემა, ფაქტობრივად, კავშირში არაა შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობასა და საპენსიო ფონდში შენატანებთან - თავად ამგვარი ფონდის არარსებობის გამო. აღნიშნულის გამო *არსებული საპენსიო სისტემა არა მარტო უსუსური და არაეფექტურია, არამედ გაუმართლებელია ეკონომიკური თვალსაზრისითაც.* ისეთი სისტემის არსებობის პირობებში, როდესაც საპენსიო გასაცემლები თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე, შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს საპენსიო გასაცემლების იმგვარი ამაღლება, რომელიც მეტ-ნაკლებად მიახლოებული იქნება საარსებო მინიმუმთან და მოვა შესაბამისობაში იმ თანაფარდობასთან, რომლიც გააჩნია პენსია/ხელფასის მაჩვენებელს სხვა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში.

პენსიონერებზე გაცემული სახსრები საკმაოდ მწირია და მათ მხოლოდ პირობითად და ტრადიციისადმი ანგარიშის გაწევით თუღა შეიძლება *პენსია* ეწოდოს. თავისი ფინანსური მოცულობით ის უფრო *სოციალური დახმარებაა.* გარდა ამისა, ის არანაირად ითვალისწინებს დღევანდელი პენსიონერის მიერ მუშაობის პერიოდში გაკეთებულ საპენსიო შენატანებს და მისი საქმიანობის ხანგრძლივობას, ტიპს და ხარისხს. პენსიის განსაზღვრა საპენსიო ასაკს მიღწეული ადამიანებისთვის დღეისათვის თვით სოლიდარობის ნიშნითაც კი არ განისაზღვრება[1].

ამჟამად მინიმალური ყოველთვიური სახელმწიფო პენსია საქართველოში 55 ლარია (§33.3), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა - 70-80 ლარი (§42.4-48.5), ასაკობრივი პენსია კი - 100 ლარი[2]. ეს მაშინ, როდესაც საარსებო მინიმუმი უკვე 161 ლარია

1 სოციალური გადასახადი საქართველოში მეხუთე წელია 2007 წლიდან აღარ არსებობს, იგი გაერთიანებულია საშემოსავლო გადასახადთან, რის გამოც ეკონომიკური საფუძველი გამოცლილი აქვს ასაკის გამო პენსიაზე გასულთა პენსიების სიდიდეს. მისი სიდიდე ფაქტობრივად ბიუჯეტის მოცულობასა და ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული.

2 საქართველოში მინიმალური პენსიის ოდენობა 2003-2011 წლებში ეტაპობრივად შეადგენდა 14, 28, 33, 38, 55, 70, 80, 90 ლარს და 2011 წლის სექტემბრიდან -100 ლარს (§60.6).

(§97.3). პენსიონერები დღეისათვის საქართველოში მიეკუთვნებიან სიღარიბისადმი ყველაზე იოლად მოწყვლად სოციალურ ჯგუფს. მათში ღარიბთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება სხვა სოციალური ჯგუფების მიხედვით არსებულ სიღარიბის დონეს[1].

2012 წლის 1 სექტემბრიდან გათვალისწინებულია ასაკით პენსიონერთათვის საპენსიო უზრუნველყოფის გარკვეული გაუმჯობესება.[2] სახელმწიფო ამ მიზნებისათვის დამატებით გამოყოფს 171 მლნ. ლარს, თუმცა თვით ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, მომატებული პენსია, დაზღვევის კომპონენტის გათვალისწინებითაც კი, მიაღწევს საარსებო მინიმუმის მხოლოდ 82 პროცენტს, მათ შორის ფულადი კომპონენტი – 74 პროცენტს[3].

1 ადრეულ წლებში პენსიონერთა მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისა. მათ შორის კეთილდღეობა უფრო მაღალი, ხოლო ღარიბთა რაოდენობა უფრო დაბალი, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში, ძირითადად, დანაზოგების სიდიდისა და გახსნილი ანაბრების სიხშირის გათვალისწინებით. 1980-იანი წლების ბოლოს საშუალო პენსია თითქმის უტოლდებოდა მაშინდელ საარსებო მინიმუმს, ხოლო პენსიონერთა დეპოზიტების საშუალო სიდიდე 22-ჯერ აღემატებოდა საარსებო მინიმუმს. დღეისათვის პენსიონერთა საშუალო პენსია 1/3-ით ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, ხოლო პენსიონერთა დეპოზიტების საშუალო სიდიდე 2-ჯერაც ვერ აღემატება მათს ამჟამინდელ საარსებო მინიმუმს. თუკი მაშინ პენსიონერთა დეპოზიტების მთლიანი თანხა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტს აღემატებოდა, დღეისათვის იგი მხოლოდ 1-1.5 პროცენტია. ამჟამად ადგილი აქვს პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკურ მარგინალიზაციას. საქართველოსაგან განსხვავებით, აშშ-ში 2010 წელს 1966 წელთან შედარებით ღარიბთა წილი პენსიონერებში 3-ჯერ და მეტად შემცირდა. - იხ. დანართი 11.

2 პროექტით, ყველა პენსიონერს 67 წელს ზემოთ ეძნება 140–ლარიანი „საპენსიო პაკეტი“, საიდანაც 15 ლარი იქნება ჯანმრთელობის დაზღვევის სახით გაცემული, ხოლო 125 ლარი – ფულადი სახით. 60–დან 67 წლამდე ქალებს და 65–დან 67 წლამდე მამაკაცებს დაენიშნებათ გაზრდილი ოდენობის „საპენსიო პაკეტი“, რომლის ოდენობა განისაზღვრება 125 ლარის ოდენობით; ამ თანხიდან 15 ლარი განკუთვნილი იქნება ჯანმრთელობის დაზღვევისათვის, ხოლო 110 ლარი გაცემული იქნება ფულადი სახით. ამასთან მათ, ვისაც 2012 წლის 1 სექტემბრამდე დანიშნული ჰქონდათ 110 ლარზე ნაკლები ფულადი გასაცემელი, საპენსიო პაკეტის ფულადი ნაწილი შეეცვლებათ 110 ლარამდე.

3 რომ არა შემოსავლების შიდაოჯახური გადანაწილება და ურთიერთ მზრუნველობა (საქართველოში მოსახლეობის 2002 წლის აღწერით, პენსიონერთა 93 პროცენტი ცხოვრობდა ოჯახის სხვა, არაპენსიონერ, უპირველეს ყოვლისა, შრომისუნარიან წევრებთან ერთად: შესაბამისად, მხოლოდ პენსიონერთა 7 პროცენტი ცხოვრობდა მარტო ან ასევე პენსიონერ მეუღლესთან ერთად.) პენსიონერთა ფიზიკური არსებობაც სერიოზული საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა. ამასთან, უნდა

საქართველოს მეზობელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალი საპენსიო ასაკობრივი თასმა და ყველაზე დაბალი საშუალო პენსია აქვს.

საქართველოში საშუალო პენსია დაახლოებით 60 დოლარია, სომხეთში - 73, აზერბაიჯანში -126, ხოლო რუსეთის ფედერაციაში 311 დოლარი. ამასთან, საშუალო ხელფასთან საშუალო პენსიის თანაფარდობითაც ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს: საქართველო 14.7%, სომხეთი 25.5%, აზერბაიჯანი 31.3%, რუსეთის ფედერაცია 35.8%.

საშუალო პენსიის თანაფარდობით ოფიციალური საარსებო მინიმუმთან საქართველო ასევე საგრძნობლად ჩამორჩება სომხეთისა და აზერბაიჯანის ანალოგიურ მაჩვენებლებს. სომხეთში საშუალო პენსიის დონე საარსებო მინიმუმის 85 პროცენტია, აზერბაიჯანში - 105 პროცენტი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში – 160 პროცენტი.

საქართველოში *ასაკით პენსიონერების* წილი პენსიონერთა საერთო რაოდენობაში გაცილებით მაღალია, ვიდრე სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში (საქართველო: 79.2%, აზერბაიჯანი 64.3%, სომხეთი 63.7%), რაც ჩვენთან სოციალური დაცულობის დივერსიფიცირების არასაკმარის დონეზე მიუთითებს. მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე არაასაკით პენსიონერთა რაოდენობა საქართველოში 39 კაცია, აზერბაიჯანში 49, ხოლო სომხეთში 57.


პენსიონერთა სოციალური უზრუნველყოფის მხრივ საქართველოს ჩამორჩენა სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებისაგან კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მეტ-ნაკლებად თანაბარი დონის პირობებში **საქართველოს მოქალაქეთა პენსიაზე ყოფნის ხანგრძლივობა საგრძნობლად ჩამორჩება სომხ-**

აღინიშნოს, რომ იმ დროს, როდესაც პენსია ჯერაც საგრძნობლად ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, საშუალო ხელფასი უკვე 4.5-ჯერ აღემატება საარსებო მინიმუმს. საარსებო მინიმუმზე ნაკლები სიდიდის პენსია კი ფაქტობრივად მხოლოდ სოციალური დახმარების ფუნქციის მატარებელია. ამჟამინდელი პენსია პენსიონერთა ოფიციალური საარსებო მინიმუმის დონეზე არსებობისთვისაც კი ,,საკმარისია'' თვეში მხოლოდ 20 დღის განმავლობაში. შესაბამისად, ყოველი თვის, სულ ცოტა, ერთი დეკადის მანძილზე პენსიონერთა მოხმარება, ფიზიკური არსებობა მთლიანად მათსავე «მარიფათსა» და ახლობლების დახმარებაზეა დამოკიდებული.

ეთისა და აზერბაიჯანის შესაბამის მაჩვენებლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პენსიის ხელფასთან თანაფარდობით საქართველო ჩამორჩება როგორც ზემოთ დასახელებულ ქვეყნებს, ისე თავის რეფორმამდელ მდგომარეობასაც (1988 წ. – 40.8%).

გრაფიკი 17



ამჟამად საქართველოში მოქმედი საპენსიო განაკვეთები ვერც პენსიონერთა ღირსეულ სიბერეს უზრუნველყოფენ და სახელმწიფოსაც საოპერაციო ფინანსურ რესურსსაც მნიშვნელოვანად უმცირებენ. – 2011 წელს მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები აღემატებოდნენ 2003 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან საგადასახადო შემოსავლებს. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა იმის კონსტატაცია, რომ **მოქმედი საპენსიო სისტემა ფაქტობრივად ვერ ასრულებს მის ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას, თავის ძირითად დანიშნულებს ვერ უზრუნველყოფს ადამიანების ფიზიკურ გადარჩენასაც კი.** იმის გათვალისწინებით კი, რომ გაეროს ანგარიშების თანახმად, საქართველო შედის ,,დემოგრაფიულად მომაკვდავ'' ქვეყნების რიცხვში (ე.ი ერის დაბერების პროცესი გრძელდება), ხოლო ქვეყანაში რეალურად დაქირავებით დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებითაც კი, ახლოსაც ვერ მიდის პენსიონერთა

რაოდენობასთან (2011 წლის ბოლოს დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში 630 ათასი იყო, მაშინ როდესაც პენსიონერთა რაოდენობა 840 ათასს, აქედან ასაკით პენსიონერთა რაოდენობა 660 ათასს აღწევდა[1]), შეიძლება დავასკვნათ, რომ მოხუცი მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის, საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემები სულ უფრო მწვავე და ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის შემცველი ხდება.

უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა ვახსენოთ *საპენსიო უზრუნველყოფის საბიუჯეტო წნეხის პრობლემა*, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება. - საპენსიო ფონდების არარსებობისა და არასახელმწიფო საპენსიო ფონდების განუვითარებლობის გამო მოხუცი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის თითქმის მთელი სიმძიმე სახელმწიფო ბიუჯეტს აწვება. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, 2012 წელს პენსიებზე გამოყოფილია 1072 მლნ ლარი, - ბიუჯეტის 13.5%. ერთი შეხედვით ეს თანხა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ მეორეს მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის არცთუ მცირე წილია, პენსია ახლოსაც ვერ მიდის საარსებო მინიმუმთან[2]. საარსებო მინიმუმის ფარგლებში პენსიების გასაცემად საჭირო იქნებოდა ბიუჯეტიდან დამატებით ყოველწლიურად დაახლოებით 500 მლნ. ლარის გაცემა, ხოლო საპენსიო სახსრების წილის გაზრდა სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებში 20 პროცენტამდე და ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში თითქმის 6.5 პროცენტამდე[3].

აღნიშნული პრობლემები უკავშირდება სახელმწიფო საპენსიო სისტემას. რა თქმა უნდა, ეს პრობლემები გაცილებით ნაკლები იქნებოდა, მეტ-ნაკლებად განვითარებული რომ ყოფილიყო *არასახელმ-*

---

1 მიჩნეულია, რომ პენსიონერთა ოპტიმალური რაოდენობა ყოველ 100 დაქირავებით დასაქმებულზე უნდა შეადგენდეს 30-32-ს, საქართველოში ეს თანაფარდობა ფაქტობრივად 136-ია, ანუ ოპტიმალურზე 4-ჯერ და მეტად უარესი.

2 საარსებო მინიმუმი 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა: ერთ შრომისუნარიან მამაკაცზე - 156.9 ლარს, ხოლო ერთ საშუალო მომხმარებელზე 139.0 ლარს.

3 საქართველოში საპენსიო სახსრების მოცულობის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან დაახლოებით 2-ჯერ უფრო დაბალია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით.

წიფო საპენსიო სისტემაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1998 წელს მიიღო კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ", არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემას ბაზრის უმნიშვნელო ნაწილი უკავია, ხოლო განვითარების ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით აღნიშნული სახის საპენსიო სისტემა ჯერაც ფაქტობრივად ჩანასახოვან მდგომარეობაშია. დღეისათვის პენსიონერთა 98%-ის პენსია მთლიანად და მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე ყალიბდება. ამასთან, საპენსიო სადაზღვევო სქემებში მონაწილეთა რაოდენობამ მხოლოდ 16879 კაცი შეადგინა, რაც პენსიონერთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში მხოლოდ 2.0%-ია. 2010 წლის განმავლობაში საპენსიო დაზღვევაზე დადებულ ხელშეკრულებათა რაოდენობამ 2185, ხოლო საპენსიო შენატანების ჯამურმა ღირებულებამ მხოლოდ 2.4 მლნ ლარი შეადგინა. საპენსიო სქემების მონაწილეებზე ჯამური ვალდებულებები 2010 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 7.9 მლნ. ლარს, რაც სახელმწიფო საპენსიო წლიური საბიუჯეტო სახსრების 1%-ზე ნაკლებია. 2011 წლის ბოლოსათვის საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიიდან 6 ეწეოდა მომსახურებას საპენსიო დაზღვევის ხაზით.

არ შეიძლება ითქვას, რომ საპენსიო სისტემაში პრობლემების გადასაწყვეტად არაფერი კეთდება. ერთი რადიკალური ნაბიჯი **საპენსიო ასაკის ზრდა,** საქართველოს ხელისუფლებამ 1990-იანი წლების ბოლოს გადადგა. დემოგრაფიული დატვირთვის მაღალი დონის გამო ქვეყანაში საპენსიო ასაკი 5 წლით გაიზარდა.[1] სხვა ქვეყნებში, სადაც ასევე განხორციელდა საპენსიო ასაკის ზრდა, პროცესი მაქსიმალურად იყო დროში გაწელილი. მაგალითად, აზერბაიჯანში 2008 წელს დაწყებული საპენსიო ასაკის ზრდის პროცესი გათვალისწინებულია 9–წლიან პერიოდზე, როდესაც 2016 წლისთვის ის ქალებისათვის – 60, მამაკაცებისათვის კი 65 წელს მიაღწევს.

საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ამჟამად 74 წელია, აქედან მამაკაცების 70 წელი,


1 საპენსიო ასაკი დღეისათვის 65 წელია, მაგრამ ქალებს უფლება ეძლევათ პენსიაზე 60 წლის ასაკიდან გავიდნენ.

ხოლო ქალების 78.5 წელი. ფაქტობრივად, მამაკაცების საპენსიო ასაკი მათ ამჟამინდელ, გაზრდილ საპენსიო ასაკს (65 წელი) მხოლოდ 5 წლით აღემატება.

როგორც მოსალოდნელი იყო, საპენსიო ასაკის 5 წლით გაზრდასა და დემოგრაფიულ ცვლილებებს პენსიონერთა საერთო რაოდენობის შემცირება მოჰყვა. 2010 წლისთვის 1995 წელთან შედარებით მათი რაოდენობა შემცირდა 265 ათასით (მთელ მოსახლეობაში 23.0 პროცენტიდან 18.9 პროცენტამდე). ამასთან, მოსახლეობის დაბერების პროცესის უწყვეტობის გამო ასაკით პენსიონერთა რაოდენობა 2010 წელს 2000 წელთან შედარებით გაიზარდა 71 ათასით 550 ათასიდან 621 ათასამდე, რის გამოც საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემა არა თუ კარგავს სიმწვავეს, არამედ იგი სულ უფრო ძლიერდება. დღეისათვის ასაკით პენსიონერებზე მოდის პენსიონერთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 4/5.

გრაფიკი 18

ასაკით პენსიონერები % -ით დაქირავებით დასაქმებულებთან საქართველოში



ვფიქრობთ, არ უნდა გამოირიცხოს რა პერსპექტივაში საპენსიო ასაკის შემდგომი ზრდის ალბათობა, მაინც ხელისუფლების შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს **საპენსიო უზრუნველყოფაში სოლიდა-**

რობის პრინციპთან ერთად დაგროვებითი პრინციპზე აგებული საპენსიო სისტემის დანერგვა. ახალი კომბინირებული საპენსიო სისტემა უნდა იყოს თავისებური ჰიბრიდული ვარიანტი სახელმწიფო სოციალური და საპენსიო სოციალური დაზღვევის სისტემებისა. ჩვენის აზრით, სოციალურად სამართლიანი იქნებოდა ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის მინიმალური პენსიის განსაზღვრა საარსებო მინიმუმის 70 პროცენტის დონეზე, რომელიც შეიძლება გაიზარდოს ნამსახურების ყოველ წელზე სარსებო მინიმუმის გარკვეული პროცენტით (აქ შეიძლებოდა პროგრესული შკალის შემოღება, ვთქვათ, 10 წლამდე სტაჟის მქონეთათვის – 0.5% ყოველ ნამსახურებ წელზე, 10–25 წლიანი სტაჟის მქონეთათვის, შესაბამისად, 1%, 25–30 წლიანი სტაჟის მქონეთათვის 2.0%, ხოლო 30–ს გადაცილებულ ყოველ დამატებით წელზე 3.0 პროცენტი და ა.შ.). ამისათვის საჭიროა ხელისუფლების ნება, სერიოზული განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში და სოციალური გადასახადის „რეაბილიტაცია“-აღდგენა.[1] სოციალური ანარიცხების აკუმულირება მოხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში (სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდში), ხოლო დაგროვებითი ნაწილისა, თვითონ მუშაკების გადაწყვეტილებით სახელმწიფო ან არასახელმწიფო საპენსიო ფონდში. ამის გარდა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ახლანდელი საშემოსავლო გადასახადი გაიყოს ორ ნაწილად დაწესდეს პროგრესული საშემოსავლო გადასახადი (10, 20 და 30%-იანი ბიჯებით, შესაბამისად, ხელფასებზე, რომლებიც შეადგენენ საარსებო მინიმუმის 10-მაგ, 10-30-მაგ და 30-ჯერ და მეტმაგ შემოსავალს საარსებო მინიმუმთან მიმართებით) და სოციალური გადასახადი გასაცემი ხელფასების 15%-ის დონეზე, რომელსაც გადაიხდიდნენ მეწარმეები. აუცილებლობის შემთხვევაში (რეფორმის პირველ, საწყის ეტაპზე) შეიძლებოდა საპენსიო დანიშნულებით ბიუჯეტის შემოსავლის სხვა წყაროების გამოყენებაც შესაბამისი დეფიციტის შესავსებად. არ უნდა გამოირიცხოს აგრეთვე გარკვეული

1 2007 წლამდე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენდა 12%-ს, სოციალური გადასახადისა - 20%-ს. მოხდა მათი გაერთიანება და ერთიანი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთმა ჯერ 25%, ხოლო 2009 წლიდან 20% შეადგინა. გათვალისწინებულია მისი შემცირება 2014 წლისათვის 15 პროცენტამდე.

კატეგორიის საპენსიო ასაკის მუშაკთათვის პენსიასთან ერთად რეგრესიული შკალით დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

ბოლო წლებში აღნიშნულ თემატიკაზე ფაქტობრივად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი კონსენსუსი არსებული საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის შეცვლის აუცილებლობის შესახებ. ეხლა საჭიროა ინტენსიური კონსულტაციები ხელისუფლების, დამსაქმებლებისა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის საპენსიო სისტემის ახალი პარადიგმის შესამუშავებლად.

§ 2. მოხუცი მოსახლეობის შრომითი საქმიანობა და შემოსავლის წყაროები

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა ახლებურად აყენებს ხანდაზმული, მოხუცი ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური აქტიურობის პრობლემას. საპენსიო ასაკსა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას შორის სხვაობა განვითარებულ ქვეყნებში დაახლოებით 17 წელია. საპენსიო ასაკის უმრავლესობა თავს საკმაოდ მხნედ გრძნობს იმისათვის, რომ იშრომოს და ამით არა მარტო საკუთარი შემოსავალი მიიღოს, არამედ შეინარჩუნოს აქტიური სოციალური პოზიცია, არ იყოს ოჯახის შრომისუნარიანი ასაკის წევრების, ან მხოლოდ დაზღვევისა თუ დანაზოგის იმედზე. იმ ფონზე, როდესაც დემოგრაფიული დატვირთვის ზრდას ფაქტობრივად გლობალური ხასიათი აქვს, ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება დაინტერესებულია მონახოს აღნიშნული კონტინგენტის არსებობისა და სოციალური აქტიურობის ღირსეული ფორმები, ისე რომ ამან არ გააძწვავოს თაობათა შორის კონფლიქტი, არ წარმოშვას რაიმე ფორმით *ეიჯიზმის* პრობლემა. იზრდება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული ტვირთი და საზოგადოება მოწოდებულია მოახდინოს ამ ტვირთის სამართლიანი განაწილება, ისე, რომ გაზარდოს მოხუცი ადამიანების აქტიურობა.

ასაკოვანი ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესების რამდენიმე გზა არსებობს:

ა) ღირსეული პენსია და სოციალური დახმარებები, დაზღვევის სისტემა;

ბ) სამუშაოთი დასაქმება, რომლის დროსაც შრომითი საქმიანობა იქნება თანაბარმნიშვნელოვანი როგორც შემოსავლების მისაღებად, ისე ამ პირთა სოციალური პრესტიჟულობისა და აქტიურობის უზრუნველსაყოფად;


გ) საზოგადოებაში ისეთი სამართლებრივი ფონის კულტივირება, როდესაც საზოგადოება და ოჯახის წევრები განსაკუთრებულ მზრუნველობასა და ყურადღებას მიაქცევენ ასაკოვან ადამიანებს.

ბუნებრივია, საზოგადოებას შეუძლია გასცეს მხოლოდ ის, რის შესაძლებლობაც აქვს მას განვითარების ყოველ ეტაპზე. როგორც ზემოთ ითქვა, მოსახლეობის მედიანური ასაკის ზრდა, დაბერება იწვევს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობების შემცირებას. თანაფარდობის ცვლილება კი მოხუცი მოსახლეობის წილის სასარგებლოდ ბავშვების წილთან შედარებით გულისხმობს, სულ ცოტა, ეკონომიკური სისტემის მოქნილობის შესუსტებას, რადგანაც, როგორც წესი, ახალგაზრდები უფრო მობილურნი, ინიციატივიანნი, ენთუზიასტები და ნაკლებად კონსერვატორები არიან; მათ შესწევთ უნარი ახალი ცოდნის, ნოუ-ჰაუს, ტექნოლოგიების უფრო სწრაფი და სისტემური ათვისებისა, რაც შრომის ბაზარზე მათ უფრო კონკურენტუნარიანს ხდის. ასეთ პირობებში ასაკოვანი, საპენსიო ასაკის ადამიანთა შენარჩუნება სამუშაო ადგილზე, რაც უნდა კეთილი მიზნებით და ამოცანებით იფუთებოდეს, მაინც აბრკოლებს ეკონომიკურ წინსვლას, უმცირებს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს დასაქმების ალბათობას. დაბერებული საზოგადოება, როგორც წესი, უფრო კონსერვატორულია და შედარებით ნაკლებია მასში ენთუზიაზმი რეფორმებისა და ცვლილებებისადმი. 2010 წელს საფრანგეთს გადაუარა დიდმა საპროტესტო ტალღამ, რომელიც იყო რეაქცია პრეზიდენტ სარკოზის ინიციატივაზე გაეზარდათ საპენსიო ასაკი საფრანგეთში 60-დან 62 წლამდე[1]. ამ აქციის ყველაზე აქტიური მონაწილენი სწორედ ახალგაზრდები იყვნენ, დაინახეს რა პენსიაზე გასვლის ვადების გაზრდის მცდელობაში

1 მართალია, ფრანგების პროტესტმა არ გაჭრა და პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ საპენსიო ასაკის ზრდას ხელი მაინც მოაწერა.

უშუალო საფრთხე საკუთარი შრომითი მოწყობის პერსპექტივისადმი. ისედაც, უმუშევრობის დონე 25 წლამდე ახალგაზრდებში ევროკავშირში, 2011 წლის მაისის მდგომარეობით, 20.4 პროცენტია, ხოლო მთელ მოსახლეობაში 9.3 პროცენტი[1]. ანუ ფაქტობრივად ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე დანარჩენი მოსახლეობაში უმუშევრობის დონეს სულ ცოტა 2.5-ჯერ აღემატება[2].

გრაფიკი 19



მთავარი სოციალური პრობლემა, რაც უკავშირდება მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას, არის დაბერებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საკითხი. და როგორც ყოველ მედალს, მასაც ორი მხარე აქვს:

1. მათი დასაქმების პრობლემა:

2. ღირსეული და სამართლიანი პენსიით უზრუნველყოფა (სათანადო რესურსების მოძიება).

მეფისდროინდელ რუსეთს რომ თავი დავანებოთ, მეოცე საუკუნეში (1926 წელთან შედარებით) საქართველოს *მოსახლეობის*


1 იხ.: Eurostat newsrelease, N 99, 1 July, 2011.

2 რადგანაც 25 წლამდე ასაკის მოსახლეობაზე მოდის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაახლოებით 1/10, გამოდის, რომ 9.3-პროცენტიანი საერთო უმუშევრობის პირობებში 25 წლამდე ახალგაზრდებში უმუშევრობა 20.4%-ია, ხოლო დანარჩენ მოსახლეობაში - მხოლოდ 8.1%. შედარებისათვის: საქართველოში ოფიციალური უმუშევრობის დონე 16.3 პროცენტია, მათ შორის 25 წლამდე ახალგაზრდებში 36.4%, დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში კი 13.9%, ანუ 2.6-ჯერ ნაკლები.

დემოგრაფიული დატვირთვა ორჯერ და მეტად გაიზარდა. რა თქმა უნდა, დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი ყოველთვის ზუსტად ვერ გამოხატავს დატვირთვის რეალურ შინაარს, რადგანაც ხანდაზმულთა ნაწილი შეიძლება მუშაობდეს და არ წარმოადგენდეს ,,ტვირთს". მაგალითად, 2010 წლის ბოლოსათვის, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, საქართველოში დასაქმებული იყო 222.6 ათასი 65 წელს გადაცილებული ადამიანი (დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 13.7%), მათ შორის 25.3 ათასი - დაქირავებული (დაქირავებულთა საერთო რაოდენობის 4.1%.[1]). მთლიანად, ამჟამად საქართველოში საპენსიო ასაკის მესამედზე მეტი (დაახლოებით 34%) დასაქმებულია.

გრაფიკი 20

ხანდაზმული (65 წელზე უხნესი) მოსახლეობის წილი საქართველოში 2010 წელს (პროცენტი)




როგორც მოტანილი გრაფიკიდან ჩანს, ხანდაზმული მოსახლეობას ისეთივე წილი აქვს დასაქმებულთა შორის, როგორც მთლიან მოსახლეობაში. უფრო მაღალია მოსახლეობაში მის წილთან (13.8%) შედარებით წილი თვითდასაქმებულებში (19.6%)

1 სულ 60 წელს გადაცილებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში შეადგენდა 21.3%-ს, მათ შორის დაქირავებით დასაქმებულთა შორის 10.3%.

და სამუშაო ძალაში (33.0%), ხოლო უფრო დაბალი წილი - ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში (11.5%) და განსაკუთრებით, დაქირავებით დასაქმებულებში (4.1%). **ხანდაზმულების წილი დაქირავებით დასაქმებულებში 3.4-ჯერ ჩამორჩება მათსავე წილს მთელ მოსახლეობაში**. ამასთანავე, რადგანაც ხანდაზმული მოსახლეობის წილი განსაკუთრებით მაღალია აგრარულ სექტორში თვითდასაქმებულებში, ხოლო ყველაზე დაბალი საბანკო-საფინანსო სფეროში, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის 65 წელზე უხნესთა საშუალო ხელფასი 25-34 წლიანების ხელფასს დაახლოებით 3-ჯერ ჩამორჩება და ეს სხვაობა სისტემატურად იზრდება.

ხანდაზმულებში, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, მაღალია სამუშაო ძალის გარეთ დარჩენილთა რაოდენობა. - ეს მაჩვენებელი სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით თითქმის სამჯერ მაღალია (იხ. ქვემორე გრაფიკი 21).

გრაფიკი 21



სამუშაო ძალის მიღმა დარჩენილთა შორის მოსახლეობაში წილთან შედარებით ასევე, არ შეიძლება ,,ტვირთად" მიჩნევა იმ ადამიანებისა, ვინც შეიძლება არ არიან ეკონომიკური საქმიანობით დასაქმებულები, მაგრამ დაკავებულები არიან შიდა ოჯახური საქმი-

ანობით სახლის დალაგებით, ოჯახის მცირეწლოვანი წევრების მოვლით, აღზრდით და ა.შ. ამასთან, ეს საქმიანობა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემით, არ ქმნის დამატებით ღირებულებას, თორემ ფაქტობრივად, უაღრესად ღირებული და საჭირო საქმიანობაა. იქ კი, სადაც ხანდაზმულები „დე-იურე" ითვლებიან დასაქმებულებად, მათ მიერ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 9-10 პროცენტი იქმნება, რაც ღირებულებით განზომილებაში თითქმის 2.4 მლრდ. ლარს (1.4 მლრდ. აშშ დოლარს) აღწევს.

ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს ოჯახებში, რომელთა წევრები ასაკით უფრო ახალგაზრდა, შრომისუნარიანი ასაკის არიან. ცხოვრების ამგვარი ფორმა უზრუნველყოფს იმას, რომ ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის ფაქტობრივი მოხმარება მნიშვნელოვნად აღემატება პენსიონერთა მიერ მიღებული პენსიის მოცულობას. 2011 წელს საქართველოს ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლების მოცულობამ 700 ლარს გადააჭარბა, ანუ შინამეურნეობის ყოველ წევრზე დაახლოებით 185 ლარი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო პენსიის სიდიდეს. მართალია, ოჯახის საპენსიო ასაკის წევრები ასევე მონაწილეობენ სხვა სახის შემოსავლების ფორმირებაში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: შინამეურნეობაში ცხოვრებით და შემოსავლების შიდაოჯახური გადანაწილებით პენსიონერთა ფაქტობრივი კეთილდღეობის ღირებულებითი გამოხატულება თითქმის ორჯერ აღემატება მათი საშუალო პენსიის სიდიდეს.

მთელი ქვეყნის მასშტაბით გაცემული პენსიების სიდიდე 2011 წელს მკვეთრად მიუახლოვდა ერთ მილიარდიან (ლარებში) მიჯნას, თუმცა მისი ეს მოცულობა ფაქტობრივად მხოლოდ უტოლდება საქართველოს მოსახლეობის მიერ ნასესხები და დანაზოგი თანხის გამოყენების მაჩვენებელს.

იმაზე, რომ არსებული საპენსიო სიდიდე არაა საკმარისი და პენსიონერებს უხდებათ მნიშვნელოვანწილად ოჯახის სხვა წევრებისა და ახლო ნათესავის კმაყოფაზე ყოფნა, მიუთითებს ის გარემოებაც, რონ ნაჩუქარი ფულის მატების ტემპი 2004-2010 წლებში 1.5-ჯერ აღემატებოდა შინამეურნეობათა მთელი სახს-

რების ზრდის მაჩვენებელს (ზრდა 2010 წელს 2003 წელთან შედარებით, შესაბამისად, 3.4-ჯერ და 2.2-ჯერ).

კიდევ უფრო თვალშისაცემია აღნიშნული ინდიკატორების დინამიკებს შორის სხვაობა 1996 წელთან შედარებით: 2010 წელს შინამეურნეობათა საშუალო თვიური სახსრები გაიზარდა 181.9 მლნ. ლარიდან 697.5 მლნ. ლარამდე, ანუ 3.8-ჯერ, ხოლო იმავე პერიოდში ახლობლებისაგან მიღებული ფულადი დახმარების მოცულობა გაიზარდა 30.6-ჯერ 2.2 მლნ. ლარიდან 67.4 მლნ. ლარამდე.[1]

60 წელს გადაცილებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 2010 წელს თითქმის მეოთხედს შეადგენდა (22.8%), მაშინ როდესაც მთელ მოსახლეობაში აღნიშნული კონტინგენტის წილი მთელი 5 პროცენტული პუნქტით დაბალია (17.8%). ამგვარ მაღალ აქტიურობას განაპირობებს როგორც საკუთარი თავის ჯანსაღად და აქტიური ცხოვრებით წარმოჩენის სურვილი, ასევე ის გარემოება, რომ პენსიის სიდიდე მნიშვნელოვნად ჩამორჩება საარსებო მინიმუმის მოცულობას. განსაკუთრებით მაღალია ამ ასაკობრივი ჯგუფის წილი თვითდასაქმებულთა საერთო რაოდენობაში (28.2%). თვითდასაქმებიდან და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან, სადაც ყველაზე მაღალია ხანდაზმული მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობა, მიღებული შემოსავალის მოცულობა ქვეყნის მასშტაბით, ცალკეული წლების მიხედვით 1.2-1.5-ჯერ აღემატება პენსიის სახით მიღებულ მთლიან შემოსავალს.

ოჯახში საშუალოდ დამატებითი ყოველი თითო დასაქმებული ზრდის შიდაოჯახურ შემოსავლებს თითქმის 1.8-ჯერ, ხოლო სიღარიბის დონეს ამცირებს მომუშავის გარეშე დარჩენილ შინამეურნეობებთან შედარებით - დაახლოებით 1/3-ით.

საქართველოში ყოველ 100 შინამეურნეობაზე 76 პენსიონერი, მათ შორის 60 - ასაკით პენსიონერი მოდის. ეს მაშინ, როდესაც იმავე 100 შინამეურნეობაზე მოდის მხოლოდ 56 დაქირავებით დასაქმებული, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი შინამეურ-

1 იხ.: საქართველოს შინამეურნეობები: 1996-2001, გვ. 183; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი. www.gcostat.gc. სექცია შინამეურნეობების შემოსავლები.

ნეობიდან ორი და მეტი დაქირავებით დასაქმებულია, **დაქირავებით დასაქმებულები ყავს ქვეყნის 100-დან მხოლოდ 34 შინამეურნეობას.** 60 და მეტი წლის მოსახლეობის წილი თუ მთელ მოსახლეობაში 17.8 პროცენტია, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში მათი რაოდენობა უკვე 18.5 პროცენტია, დასაქმებულებში 21.3 პროცენტი, ხოლო თვითდასაქმებულებში 28.2 პროცენტი. ამასთან, უმუშევრობის დონე სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ყველაზე დაბალია. ფაქტობრივად, პენსიონერთა ხარჯზე შინამეურნეობები ღებულობენ შინამეურნეობათა შემოსავლის დაახლოებით 22 პროცენტს, რაც წელზე გადაანგარიშებით დღევანდელ პირობებში დაახლოებით 1.7 მლრდ. ლარის ექვივალენტურია.

მოხუცი ადამიანების აქტიურობა ემსახურება არა მარტო შინამეურნეობათა კეთილდღეობისა და შემოსავლების ზრდას. მათი აქტიურობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თაობათა კავშირს, ტრადიციებისა და წესებისადმი ერთგულებას, სამეწარმეო და სარეწაო კულტურისა და უნარ-ჩვევების გადაცემას უმცროსი თაობების წარმომადგენლებზე. ყოველივე ამათ პირდაპირი ღირებულებითი შეფასება არ გააჩნიათ, თუმცა დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი სტაბილურობის, პროგრესისა და ხანდაზმული მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატებაში.

დემოგრაფიული დაბერების პროცესი, რომელიც ფაქტობრივად მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს, ქმნის სერიოზულ პრობლემებს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

თავად გერონტოლოგთა აზრით, **სიბერე განსაკუთრებული ავადმყოფობის განსაკუთრებული სახეა.** ხანდაზმული მოსახლეობის ზრდა მოითხოვს მოხუცთა სოციალური მზრუნველობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო ქსელისა და სხვა სახის მომსახურების გაფართოებას. ამასთან, კარგად ცნობილია, რომ მოხუცები მატერიალურ მდგომარეობაზე არანაკლებად განიცდიან ოჯახის წევრებისაგან, შვილებისაგან, ახლობლებისაგან ყურადღების დეფიციტს. მათთვის ყველაზე **ოპტიმალურია არა თავისთავად პენსია, არამედ ისეთი ყოფა, რომელშიც მეტნაკლებად დაბალანსებულია მატერიალური უზრუნველყოფა და სოციალური, ადამიანური კონტაქტები.** ამიტომ, დაბერებული მოსახლეობის წილის ზრდის გათვალისწინებით ხანდაზმული მოსახლეობისადმი საზოგადოებრივი მზრუნველობის ერთერთ მიმართულებად უნდა წარმოჩნდეს სპეციალიზებულ დაწესებულებებში მკურნალობისა და მოვლის პროცესის რაციონალური ჩანაცვლება შინამეურნეობებში მოხუცების მოვლა-მზრუნველობით, შესაბამისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერით (პერსპექტივაში ოჯახის წევრი ან ნათესავების მოვლით დაკავებული ადამიანებისათვის მუშაობის მოქნილი გრაფიკის შემუშავებითა და ამ მზრუნველობითი სამუშაოს გარკვეული ანაზღაურებით).

საკითხს უნდა შევხედოთ არა ისე, თითქოს მოხუც ადამიანებზე ზრუნვა სახელმწიფოსაგან მხოლოდ *ხარჯების გაღების* საფუძველი ხდება. პრობლემა უნდა განხილულ იქნეს აბსოლუტურად სხვაგვარ ასპექტში: ცივილიზებული, ჰუმანური საზოგადოება ეს არის საზოგადოება ყოველგვარი დისკრიმინაციის, მათ შორის ასაკობრივი, გენდერული დისკრიმინაციის გარეშე. თანამედროვე საზოგადოე-

ბაში ყველა თაობისა და პროფესიის, რეგიონისა თუ სოციალური ჯგუფის ადამიანებმა თავი კომფორტულად უნდა იგრძნონ. **სიბერეს კი ადამიანებმა უნდა მიაღწიონ ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობით და კეთილდღეობის მაღალი დონით.** უნდა გავაცნობიეროთ, რომ მოსახლეობის დაბერება ეს უფრო *გამოწვევა და შესაძლებლობაა*, ვიდრე *პრობლემა*, რომ დაბერება ეს დემოგრაფიული განვითარების ბუნებრივი პროცესის ნაწილია და ამიტომ საზოგადოებამ უნდა მოახდინოს არა ამ ცვლილებებისაგან თავის არიდება, არამედ უნდა ესწრაფოს მათთან ადაპტირებას. შესაბამისად, უნდა ვისწავლოთ უფროსი თაობის ადამიანებში დალექილი ცოდნის, გამოცდილების, ადამიანისეული კაპიტალის უფრო სრულად გამოყენება. მაშინ მოხუცებულ ადამიანებზე ზრუნვა იქნება მთელი საზოგადოების მასშტაბით არა მარტო ჰუმანური და სოციალური აქტი, არამედ ეკონომიკურადაც ხელსაყრელი ქმედება. მთლიანობაში პროცესები იმგვარად უნდა განვითარდეს, რომ ადამიანთა დაბერება პათოლოგიური კი არა, ფიზიოლოგიური პროცესი იყოს და რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დაკავშირებული ცხოვრების წესზე და ამგვარი წესით ცხოვრების ალბათობაც ნაკლებად დგებოდეს.

ამ ზოგად-კონცეპტუალურ მიდგომასა და პრინციპებს უნდა დაეფუძნოს საპენსიო სისტემის პრაქტიკული კონტურები, მოხუც ადამიანებზე ზრუნვის სახელმწიფოებრივი სტრატეგიაში ჰუმანიზმის, სამართლიანობისა და ეფექტიანობის ოპტიმალური შეხამება. ეს სტრატეგია კი საპენსიო სისტემის ოპტიმიზაციის გარეშე წარმოუდგენელია. სტაბილური უნდა იყოს არა თავისთავად დახმარებისა თუ საპენსიო სისტემის ესა თუ ის ფორმა, არამედ ზემოხსენებული მიდგომა, სტრატეგია.

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვა სულ უფრო იზრდება. საკმაოდ მწვავედ დგას მოსახლეობის დაბერების პრობლემაც. პენსიონერთა და დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობის თანაფარდობა ოპტიმალურზე რამდენჯერმე უარესია, რაც სულ უფრო ზრდის ხელისუფლების საპენსიო სახსრების სამობილიზაციო თავის ტკივილს. საპენსიო სახსრების მოცულობა,

მაგალითად, უკვე მნიშვნელოვნად აღემატება სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გაღებული ხარჯების მოცულობას.

ყოველივე აღნიშნულის გამო სულ უფრო აქტუალური ხდება საქართველოში საპენსიო ასაკის გაზრდისა და საპენსიო სისტემის არსებითი ცვლილების, საპენსიო რესურსების წყაროების ფორმირების პარადიგმის შეცვლის საკითხი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მოხუცი, პენსიონერი ადამიანებისადმი ჰუმანური, სამართლიანი მიდგომა, სტაბილურად უზრუნველვყოთ ისინი ღირსეული პენსიით, შეცვლილი გარემო პირობებისა და გარემოებების პარალელურად, ჩვენ ადექვატურად უნდა ვცვალოთ საპენსიო სისტემები. ქვეყნის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის რეფორმირება ფაქტობრივად, დროის მოთხოვნაა და მას ალტერნატივა არ გააჩნია.**

არსებული საპენსიო სისტემის უცვლელობის შემთხვევაში ის სულ უფრო მეტ პრობლემას შეუქმნის საქართველოს ფინანსურ მდგრადობას და განვითარების პერსპექტივებს, რადგანაც დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად დამძიმდება და, შედეგად, მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეკონომიკის განვითარებას და წარმოშობს ახალ სოციალურ პრობლემებს. აშკარაა, რომ ქვეყანაში დაქირავებით დასაქმებული მოსახლეობა, თავისი რიცხოვნობიდან გამომდინარე, სოციალური გადასახადის შემოღების შემთხვევაშიც კი კარგა ხანს ვერ მოახერხებს იმ ოდენობის თანხის აკუმულირებას ბიუჯეტში, რომელიც საკმარისი იქნება თუნდაც დღევანდელი თითქმის სიმბოლური ოდენობის პენსიებისთვის. უახლოეს მომავალში კი მოსალოდნელია პენსიონერთა აბსოლუტური რაოდენობის ზრდა დაქირავებით დასაქმებულთა ზრდის ბუნდოვანი პერსპექტივის პირობებში.

ქვეყნის როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი დინამიკა, ასევე საბიუჯეტო პოლიტიკის პრიორიტეტები და დემოგრაფიული სურათის ცვალებადობა მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკას და ბიუჯეტს ნაკლებად აქვს იმის ფუფუნების საშუალება, რომ საპენსიო დანახარჯების გასტუმრება კვლავაც უპირატესად სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის ფუნქციად დარჩეს. ბოლო წლების სტატისტიკა ადასტურებს, რომ საბიუჯეტო წნეხის

ზრდის მიუხედავად პენსიებით უზრუნველყოფის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და აშკარად ჩამორჩება დროის მოთხოვნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესებისთვის საჭიროა ამ სფეროში პოლიტიკის ძირეული შეცვლა. აშკარაა, რომ დღევანდელი პრიორიტეტების (თავდაცვა, უშიშროება, ეკონომიკური რეფორმები, ტურისტული ინფრასტრუქტურა) ფონზე ბიუჯეტი ვერ შეძლებს სოციალური პროგრამების მასშტაბურ დაფინანსებას. ასეთ ვითარებაში არსებითი გამოწვევაა იმგვარი მოდელის შერჩევა და დანერგვა, რომელიც გაზრდის ქვეყნის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს ხანდაზმულ ასაკში მყოფი მოსახლეობის სიღარიბის დაძლევას და ღირსეულ, უფრო მაღალხარისხოვანი სიბერის უზრუნველყოფას. ქვეყნის მაკროეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული, აგრეთვე შრომის ბაზრის საერთო მდგომარეობა, მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურა, სიღარიბის დონე და პროფილი, მისი ასაკობრივი სტრუქტურა და, რა თქმა უნდა, მენტალიტეტი, მათ შორის სოციალური და პირადი დაზღვევის კულტურის დონე, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ დღის წესრიგში დგება საკითხი საქართველოში **საპენსიო სისტემის თვისებრივად ახალ პრინციპებზე ჩამოყალიბების, ექსკლუზიურად განაწილებითი (გადანაწილებითი), სოლიდარული პრინციპის (მუშაობა დადგენილი გადასახადებით) კომბინირებული, სოლიდარულ-დაგროვებითი პრინციპით (დადგენილი შენატანებით) ჩანაცვლების თაობაზე.**

ამ პროცესში გამოყენებული უნდა იქნას თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საპენსიო სისტემების რეფორმირების არსენალში მყოფი ყველა ინსტრუმენტი. ჩვენი მოსაზრებით, *სოლიდარობის საფუძველზე* უნდა მოხდეს სახელმწიფო პენსიების გაცემა, *დაგროვებითი შენატანების საფუძველზე* კი საკუთარი ინდივიდუალური საპენსიო განაკვეთების ჩამოყალიბება. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მიდგომა ეფექტური იქნება საქართველოში, სადაც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-ინსტიტუციური პირობები (საფინანსო დისციპლინის განმტკიცება, მთლიანი შიდა პროდუქტის ადმინისტრირების

გამჭობესება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება).

აღნიშნული მიდგომა ეყრდნობა მოწინავე საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებას, რომელთა უმრავლესობა იყენებს საპენსიო სისტემების რეფორმის კომბინირებულ მეთოდებს. მათ აირჩიეს კორექტირებადი ღონისძიებების ტაქტიკა (პარამეტრული ცვლილებები) და ნაწილობრივ (შინაარსის მიხედვით არჩევითი) საპენსიო სისტემების ცალკეული სეგმენტების მოდერნიზაცია.

დაგროვებითი საპენსიო სქემის შემთხვევაში პიროვნება თავისი შრომითი აქტივობის პერიოდში აკეთებს დანაზოგებს[1], რომელიც მასვე მოხმარდება საპენსიო ასაკის დადგომის შემდეგ. გადანაწილებითი სქემისაგან განსხვავებით, რაც თაობათაშორის სოლიდარობას ეფუძნება, დაგროვებითი საპენსიო სისტემა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას გულისხმობს საკუთარი ღირსეული სიბერის უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა ორგანულია ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნებისათვის, ამდენად იგი საქართველოს გაცხადებულ ლიბერალური ეკონომიკის კონტექსტსაც სრულიად და ბუნებრივად შეესაბამება. პენსიების სოლიდარული და დაგროვილი ფონდების თანაარსებობით შესაძლებელი იქნება, ერთის მხრივ, არ გავართულოთ თაობათა შორის ურთიერთობა და მეორეს მხრივ, ყველაზე დაუცველ ფენებს, მოხუცებს და მომავალ ასაკით პენსიონერებს შევუქმნათ ნორმალური ცხოვრების პირობები.

დღეს მოქმედი პარადიგმის ცვლილება გულისხმობს აგრეთვე ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორებიცაა:

საპენსიო სისტემის სტრუქტურული პარამეტრების (საპენსიო ასაკის, დაზღვევის ტარიფების, საპენსიო გადასახადის ინდექსაციის ფორმულის) ცვლილება;

ახალი, დაბალანსებული შრომის კოდექსის შემოღება, რომელსაც დაეყრდნობა ახალი საპენსიო სისტემის მოდელი;

პროგრესული საშემოსავლო გადასახადის შემოღება (შესაბამისი ცვლილებების განხორციელება საქართველოს საგადასახა-

1 აღნიშნული „დანაზოგი" ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც „სიმდიდრის ჩანაცვლების ეფექტი". იხ.: როუზენი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, თავი 9, გვ. 14.

დო კოდექსში);

- წინასწარ განსაზღვრული ჯერადი რანგირებული დამოკიდებულება საჯარო მოხელეთა შორის ანაზღაურებისა საარსებო მინიმუმის სიდიდესთან;

სახელმწიფოს მონაწილეობის ზრდა ეკონომიკის მართვაში;

ფისკალურ ღონისძიებათა რეალიზაცია (გადასახადების ზრდა, ან იმ ხარჯების შემცირება, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული საპენსიო უზრუნველყოფასთან);

მაკროეკონომიკური პროფილის ცვლილება, რომელიც გულისხმობს ზემოქმედებას ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაზე (მაგალითად, ეკონომიკური აქტიურობის, ქვეყნის შიდა მიგრაციის წახალისება);

საპენსიო სისტემა, ჩვენის აზრით, უნდა დაიყოს რამდენიმე საფეხურად:

პირველი საფეხური **გარანტირებული პენსია**, რომელიც განისაზღვრება რეალურ საარსებო მინიმუმთან ხისტი კორელაციით (ჩვენი მოსაზრებით, საარსებო მინიმუმის 70 პროცენტის ოდენობით) ქვეყნის ყველა, საპენსიო ასაკს მიღწეული მოქალაქისათვის;

მეორე საფეხური - **გარანტირებულ-დაგროვებითი პენსია**, როგორც ნამეტი დაგროვებით პენსიაზე საარსებო მინიმუმის ზრდადი საპროცენტო განაკვეთით ნამსახურობის წელთა მიხედვით. სახსრები ამ დროს ყალიბდება მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადისა და აღდგენილი სოციალური გადასახადის საფუძველზე. საშემოსავლო გადასახადი უნდა იყოს პროგრესული, სამ ბიჯიანი და ამ ბიჯების კრიტერიუმი უნდა იყოს ჯერადი განსხვავება ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან (პირველი საფეხური მეტობა საარსებო მინიმუმზე - არა უმეტეს 10-ჯერ, მეორე საფეხური - მეტობა 10-30-ჯერ, მესამე 30-ზე მეტჯერ).

სოციალური გადასახადი მეწარმეთათვის განისაზღვრება მათ მიერ დაქირავებულებზე დარიცხული ხელფასის ფონდის 15 პროცენტის დონეზე.

მესამე საფეხური **დაგროვებითი პენსია** (ხელფასის გარკვეული პროცენტის გადარიცხვა სახელმწიფო ან კერძო საპენსიო

ფონდში ფიზიკური პირისთვის მისაღები ვადებითა და პირობებით).

შეიძლება ვიფიქროთ საშემოსავლო გადასახადებზე გარკვეული ნორმატივების დაწესებაზეც, როდესაც განსაზღვრული, კანონით დადგენილი პროპორციით ასეთი გადასახადები მიმართული იქნება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ერთიანი ფონდისა და საპენსიო ფონდის ფორმირებისათვის.

იგულისხმება, რომ თანდათანობით გაუქმდება სპეციალური პენსიები ყოფილი სახელმწიფო მოხელეებისთვის (არ დაინიშნება ახალი სპეციალური პენსიები. და მოხდება ადრე დანიშნულების თანდათანობითი გადასინჯვა ახალი კანონმდებლობის შესაბამისად)[1].

აღნიშნულ კონტექსტში ვთვლით, რომ არა მარტო აღსადგენია სახელმწიფო საპენსიო ფონდები, არამედ აუცილებელია, ფართო განვითარება ჰპოვოს არასახელმწიფო საპენსიო სისტემებმაც. ამ საქმეში, ალტერნატიულ და კონკურენტუნარიან კერძო საპენსიო მომსახურებაში პოზიტიური როლის შესრულება შეუძლიათ, მათი გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს საბანკო სისტემას, ქვეყანაში მოქმედ კომერციულ ბანკებს.

მიგვაჩნია, რომ საპენსიო რეფორმა შეუძლებელია განხორციელდეს მყისიერად, ამისათვის აუცილებელია მთელი რიგი საკანონმდებლო, ინსტიტუციური, ორგანიზაციული და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მენტალური ცვლილებების განხორციელება. უნდა ჩამოყალიბდეს რეფორმის ძირითადი მიზნები და მიმართულებები, განისაზღვროს მისი განხორციელების ვადები და შესაძლო ხარჯები, რისკები, აგრეთვე რეფორმის შედეგები, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, საპენსიო ფონდებში აკუმულირებული სახსრების ინვესტირების ინსტრუმენტები, მათი სათანადო მართვა და ზედამხედველობა და ა.შ.

ამავე დროს, აუცილებელია ყველა იმ პოზიტიური შედეგის გამოკვეთა და საზოგადოებისთვის შეტყობინება, რაც არასახელმ-

1 ბევრ ქვეყანაში პრობლემები სახელმწიფო საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით გამომდინარეობს დიფერენცირებული პენსიების სიდიდისაგან. თაყის დროზე ბრაზილიაში სახელმწიფო საპენსიო სისტემის კოლაფსი გამოიწვია საჯარო მოხელეების განსაკუთრებულად დიდი ზომის პენსიებმა.

წიფო საპენსიო სისტემის განვითარებით მიიღება არა მხოლოდ საქართველოს საპენსიო სისტემისთვის, არამედ მთელი ეკონომიკისთვის. აქ იგულისხმება ახალი ფინანსური და საინვესტიციო რესურსის გაჩენა, ასევე მათი ზრდადობა და გრძელვადიანობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილურობას და ლიკვიდურობას.

შეიძლებოდა გარკვეული ასაკისა და სამუშაო სტაჟის მქონეთათვის დაშვებულიყო ერთდროულად ხელფასისა და პენსიის მიღება გარკვეული რეგრესიული შკალათი იმის ანალოგიურად, რომელსაც წლებია წარმატებით იყენებენ ბევრ ქვეყანაში, ამათ შორის აშშ–ში.

ამის გარდა, დემოგრაფიული დაბერების პროცესის გამო მიზანშეწონილი იქნებოდა *მოძრავი საპენსიო ასაკის დამკვიდრება.* ამ დროს პენსიაზე გასვლის თარიღად ითვლება არა რომელიმე კონკრეტული ასაკი, არამედ გარკვეული ასაკობრივი ინტერვალი, რომელშიც მოხვედრილი თითოეული მომუშავე, სამუშაო თუ ოჯახური პირობების, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა რაიმე მიზეზით თავად გადაწყვეტს, თუ რომელ ასაკში გავიდეს პენსიაზე. რაც უფრო მაღალ ასაკში გავა პენსიაზე, მით უფრო მაღალი იქნება მისი პენსიაც.

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალ საპენსიო სისტემაზე ტრანსფორმაციის პერიოდი განისაზღვროს 7-10 წლით, რომლის განმავლობაში სახელმწიფო სათანადო დახმარებას აღმოუჩენს საპენსიო ფონდებს (როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო) თავიანთი ამოცანების განხორციელებაში, მათ შორის სუბსიდირებისა და სუბვენციის პრინციპებზე ფონდებისათვის საჭირო რესურსების მოძიებაში.

ამ ხნის განმავლობაში უნდა მოხდეს აგრეთვე იმ სარგოების განსაზღვრაც დასაქმებული ადამიანებისთვის, რომლებიც ახლო მომავალში პენსიონერები გახდებიან.

საქართველოს მოსახლეობის დაბერების გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ საპენსიო უზრუნველყოფა აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის ნაწილი გახდეს. საპენსიო პოლიტიკის

პარალელურად უნდა შემუშავდეს მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც უფროსი ასაკის მოსახლეობის აქტიურ დასაქმებას, მაღალი კორელაციის დამყარებას ქალების მიერ გაჩენილ ბავშვთა რაოდენობასა და საპენსიო ასაკს შორის. მაგალითად, ყოველ გაჩენილ ბავშვზე საპენსიო ასაკის ერთი წლით შემცირება ნებისმიერი დასაქმებული ქალისთვის.

ქვემოთ მოტანილია ჩვენს მიერ შემოთავაზებული საპენსიო სისტემის სრულყოფის წინადადებების პირობითი სქემა.

საქართველოს ამჟამად მოქმედი და შემოთავაზებული საპენსიო სისტემების ძირითადი ნიშნები

	ამჟამად მოქმედი სისტემა	ჩვენს მიერ შემოთავაზებული სისტემა
საპენსიო სისტემის ტიპი	სოლიდარული	კომბინირებული (სოლიდარულ-დაგროვებითი)
დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ბიუჯეტი	სახელმწიფო საპენსიო ფონდი/ არასახელმწიფო საპენსიო ფონდი
შენატანები	- პროპორციული საშემოსავლო გადასახადი; - საბიუჯეტო სახსრები.	- პროგრესული საშემოსავლო გადასახადი; - სოციალური გადასახადი: - საბიუჯეტო სახსრები (სუბსიდია/ სუბვენციის სახით).
